სპორტიელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 16 თებერვალი 2006 №34 (2656) ფასი 50 თეთრი

მზარეულ კლაუს ტოპმიოლერს მზა არაფერი ხვდება

3

რა ვქნა, რომ ამბიციური კლუბის პრეზიდენტი ვარ?!

ინტერვიუ ილია კოკაიასთან

4



უჩივლეთ ფრანგებს სასამართლოში

ფრანგურთელებს ფულის ამბავი ევროპამ გაურჩია

8

სლოვაკებმა რუსებს ოკეი გაუკეთეს 5:3



შალკემ უკობიაშვილოდ მოიგო, ასათიანი მოსკოვში დალონდა, არველაძე სევილიაში

AFP სფილიადან

უეფას თასი 2005-2006
მეთექვსმეტეფინალი. I მატჩები

ლიტაქსი (ბულგარეთი) 0:2 **სტრასბური** (საფრანგეთი)
0:1 ლე პენი (2), 0:2 დიანე (82)

ლოკომოტივი (რუსეთი) 0:1 **სევილია** (ესპანეთი)
0:1 ხორდი (75)
ლოკომოტივი: პოლიაკოვი, სპაჰიჩი, გურენკო, ბიკეი, პაშინინი, სამედოვი, ბილიალეტდინოვი, კინგსტონი (მამინოვი 60), ასათიანი (იზმაილოვი 81), ლოსკოვი, პარკსი (ლებედენკო 46)
მწვრთნელი: სლავოლიუბ მუსლინი
მსაჯი: სტივ ბენეტი (ინგლისი)
15 000 მაყურებელი

არტმედია (სლოვაკეთი) 0:1 **ლევსკი** (ბულგარეთი)
0:1 ანგელოვი (79)

ბაზელი (შვეიცარია) 1:0 **მონაკო** (საფრანგეთი)
1:0 დ. დეგენი (78)

ჰერტა (გერმანია) 0:1 **რაპიდი** (რუმინეთი)
0:1 ნეგრუ (67პ)

ლილი (საფრანგეთი) 3:2 **შახტარი** (უკრაინა)
1:0 ფოვერუ (19), 2:0 დერნისი (57), 3:0 ოდემვინეი (78), 3:1 ბრანდაო (88), 3:2 მარიკა (89)

ჰერენვენი (ჰოლანდია) 1:3 **სტიაუა** (რუმინეთი)
1:0 ბრუგინკი (23), 1:1 დიკა (29), 1:2 გოიანი (76), 1:3 პარაშივი (78)

რუსენბორგი (ნორვეგია) 0:2 **ზენიტი** (რუსეთი)
0:1 არშავინი (22), 0:2 კერჟაკოვი (32)

შალკე (გერმანია) 2:1 **ესპანიოლი** (ესპანეთი)
0:1 ლუის გარსია (34), 1:1 ბორდონი (66), 2:1 ერნსტი (88)
შალკე: ფ. როსტი, რაფინია, ბორდონი, კრსტაიჩი, ბოენიში (გ. ვარელა 88), კ. პოულსენი, ბაირამოვიჩი (ასამოა 46), ფ. ერნსტი, ლინკოლნი, კურანი (სანდი 80), ლარსენი
მწვრთნელი: მირკო სლომკა
მსაჯი: რობერტო როზეტი (იტალია)
50 000 მაყურებელი

ბოლტონი (ინგლისი) 0:0 **მარსელი** (საფრანგეთი)

ბრიუგე (ბელგია) 1:2 **რომა** (იტალია)
0:1 პანუჩი (45), 1:1 პორტილიო (61), 1:2 პეროტა (74)

უდინეზე (იტალია) 3:0 **ლანსი** (საფრანგეთი)
1:0 დი ნატალე (35), 2:0, 3:0 ბარეტო (61, 82)

ბეტისი (ესპანეთი) 2:0 **ალკმაარი** (ჰოლანდია)
1:0 ტარდელი (70), 2:0 რობერტი (79)
ალკმაარი: ტიმერი, ჯალენსი, მატიისენი, სტეინსონი, დე კლერი, ლანძაატი, მეერდინკი (იკედია 80), მოლოეკი (დე ზეუვი 32), ვან გალენი (ჰიუსეგემსი 64), არველაძე, კ. პერესი
მწვრთნელი: ლუის ვან გაალი
მსაჯი: ნიკოლაი ივანოვი (რუსეთი)
55 000 მაყურებელი

AFP უდინეზელ

უდინეზე — ლანსი. მასპინძელმა ჟოზე ბარეტომ სტუმრებს გასაქანი არ მისცა, ორი გოლი გაუტანა

ინგლისი

პრემიერლიგა
გადადებული მატჩი
ბლეკბერნი 2:0 სანდერლენდი

ჩემპიონატი
XXXIV ტური
ძოვენთრი 2:1 უენსდი
საუთჰემპტონი 0:0 პრესტონი

I ლიგა. XXXIII ტური
ჩესტერფილდი 0:1 დონკასტერი
ოლდჰემი 3:0 ნოტინგჰემი

II ლიგა. XXXIII ტური
ბოსტონი — ჩესტერი *გადაიდო*
ოძსფორდი 1:1 მაკლსფილდი

ესპანეთი

სეგუნდადივიზიონი
გადადებული მატჩი
ალბასეტე 1:0 სპორტინგი

იტალია

სერია C1/A
გადადებული მატჩი
პრო პატრია 2:0 პრო სესტო

შოტლანდია

ასოციაციის თასი
1/8 ფინალი. გადათამაშება
პარტიკი 1:1 დ.დ.(პენ.4:2) ინვერნესი

თურქეთი

თასის ჯგუფური ეტაპი
IV ტური
გირესუნი 2:1 მერსინი
დიარბაქირი 0:1 გალათასარაი
ტარსუსი 1:1 ერჟიესი
ანკარაგიუჯიუ 1:1 გაზიანთეფი
ძარაგიუმრუძი 0:2 ალთაი
სარიერი 1:2 ძონია

რას მერჩის კლაუსი?
ცქიტიშვილი ადგილს და მიზეზს ეძებს

გერმანულ „ვოლფსბურგში“ ახალი მწვრთნელის, კლაუს აუგენტალერის მისვლის შემდეგ ქართველ ნახევარმცველ ლევან ცქიტიშვილს საქმეები აეწყო. თუ ბუნდესლიგის პირველ წრეში ჩვენიანი სტაბილურად თამაშობდა, ნაახალწლევს ის „ვოლფსბურგის“ ძირითადში სულ ერთხელ, „ლევერკუზენთან“ მატჩისას მოხვდა და მაშინაც შესვენებაზე შეცვალეს. მოკლედ, აუგენტალერის ხელში ლევან ცქიტიშვილმა ოდენ 45 წუთი ითამაშა, ერთი შეხვედრა ტრავმის გამო გამოტოვა, სხვა მატჩებისას კი სათადარიგო იყო...

— ჯერჯერობით მწვრთნელთან პირისპირ არ მისაუბრია, მაგრამ თუ ასე გაგრძელდა, უთამაშებლობის მიზეზს აუცილებლად ვკითხავ. სათადარიგოთა შორის ყოფნა არ მაკმაყოფილებს, თამაში მინდა. ბუნდესლიგის პირველ წრეში პრობლემა არ მქონია, რეგულარულად ვთამაშობდი, მაგრამ ახლა ვითარება შეიცვალა. მწვრთნელმა გუნდში ორი ჰოლანდიელი ფეხბურთელიც მოიყვანა და მათ უფრო ენდობა. არადა, ჩვენი შედეგი მეორე წრეში სულაც არ გაუმჯობესებულა.

— **როგორ ფიქრობ, ამ ჰოლანდიელების გამო დარჩი უთამაშებელი?**

— მოსამზადებელ ეტაპზე სამი ამხანაგური მატჩი გვქონდა და სამივე შეუცვლელად ვითამაშე, თუმცა მერე დავშავდი და მეორე წრის პირველი მატჩი „დორტმუნდთან“ გამოვტოვე. ფორმა სწრაფად კი აღვიდგინე, მაგრამ ძირითადში ადგილი დავკარგე. საერთოდაც, წინა მწვრთნელისგან განსხვავებით, აუგენტალერი გუნდს სხვა სისტემით ათამაშებს და ადრე თუ შუა ნახევარმცველი მე ვიყავი, ახლა ამ ადგილას ერთ-ერთი ახალწვეული ჰოლანდიელი თამაშობს.

— **იქნებ მწვრთნელი ფიქრობს, რომ სათანადო ფორმაში ჯერ არა ხარ?**

— შეიძლება ასეც ფიქრობს და ამიტომ არ მათამაშებს. ისე კი, აუგენტალერმა ძირითადში თუ დამაბრუნა, რისი დიდი იმედიც მაქვს, ამპლუას ალბათ მაინც შემიცვლის და ფლანგზე მათამაშებს. არადა, ვფიქრობ, ჩემი ადგილი სწორედ შუაშია. თუმცა თუ მწვრთნელი ჩათვლის საჭიროდ, მზად ვარ, ნებისმიერ პოზიციაზე ვითამაშო.

— **ამასობაში კი „ვოლფსბურგი“ ბუნდესლიგიდან გასავარდნთა ზონას ძალიან მიუახლოვდა...**

— არადა, სპეციალისტებისა და თქვენი კოლეგების აზრით, შემადგენლობის მიხედვით ევროსაგზურისთვის ბრძოლაც შეგვეძლო. ისე კი, ვფიქრობ, „ვოლფსბურგს“ ბუნდესლიგიდან სასწაული თუ გააგდებს.

— **და იმასაც ფიქრობ, რომ მალე ძირითად შემადგენლობაში დაბრუნდები?**

— რა ვიცი, ეს მწვრთნელზეა დამოკიდებული, თუმცა რატომღაც მგონია, რომ ძირითადს უკვე მოშავალ ტურში დავუბრუნდები.

— **საქართველოს ნაკრების ახალი მწვრთნელი თუ გაიცანი?**

— კლაუს ტოპმიოლერი ამას წინათ ლევან კობიაშვილს შეხვდა და კარგა ხანს ელაპარაკა...

— **„ვოლფსბურგის“ თამაშზე დასწრებას არ აპირებს?**

— ეს თუ სურს, აქ არაა?! რა პრობლემაა...

— **ნაკრებიდან გამოძახება მიიღე?**

— დიახ, მალტაზე 26 თებერვალს გავემგზავრები და ალბათ 1 მარტს ვითამაშებ. როგორც ვიცი, ლეგიონერებს მალტის ტურნირზე სწორედ ერთი მატჩის ჩატარება მოგვიწევს.

— **ევროპის ჩემპიონატის ჩვენს შესარჩევ ჯგუფზე რას იტყვი?**

— უკეთესიც შეიძლებოდა... მაგრამ ახლა ამაზე ლაპარაკს რა აზრი აქვს, მთავარია, ვითამაშოთ და ყველა მეტოქის დამარცხება შეიძლება — შეუძლებელი არაფერია. ხომ ყველამ ვნახეთ, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე საფრანგეთი გაჭირვებით მოხვდა, შემოდგომიდან კი ღმერთმა იცის, ფრანგებს როგორი გუნდი ეყოლებათ. სახელებმა არ უნდა შეგვაშინოს, ყველა გუნდში ჩვეულებრივი ადამიანები თამაშობენ და მოგება ყველასთან შეიძლება.

ძოგა ინასარიძე

ახალაია და ესტეგლალი ჯერ ვერ თანხმდებიან

მოლდოვური „ზიმბრუს“, თბილისის „დინამოს“, შვეიცარიული „ციურიხის“ და საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ყოფილი თავდამსხმელი ლადო ახალაია ახლა ირანშია და თეირანის „ესტეგლალში“ აპირებს კარიერის გაგრძელებას, თუმცა ჩვენ მიერ სპარსეთიდან მოპოვებული ბოლო ცნობა ასეთია — ახალაიას და „ესტეგლალის“ მოლაპარაკება არცთუ წარმატებით მიმდინარეობს, მხარეები პირობებზე ვერ თანხმდებიან და ამ დროისთვის 23 წლის ახალაიას ირანის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდში ჩარიცხვის შანსი მცირეა.

შეგახსენებთ: „ესტეგლალში“ უკვე თამაშობს ერთი ჩვენებური — ნახევარმცველი აქვსენტი გილაური.

ლადო ახალაიამ „დინამო“ ევროკუპის ტურნირის მერე დატოვა

ნიკა ჯორჯაძე



მზარეულ ტოპმიოლერს მზა არაფერი ხვდება

მალტა მწვრთნელს კი არა, ფეხბურთის ფედერაციას გამოცდის

„1984-85-წლიანების თაობაში ვინ შედის, ჩემთვის ჯერ უცნობია. იქნებ მომაწოდოთ მათი სახელები და გპირდებით, აუცილებლად ვნახავ ამ ბიჭებს. ბუნებრივია, რომ ამ მხრივ სრულ ინფორმაციას ჯერ არ ვფლობ."

„ნაკრებში მწვრთნელობა იმითაა რთული, რომ აქ მთელი ქვეყნიდან უნდა აირჩიო თერთმეტი კაცი".

„ჯერჯერობით გუნდს თამაშის ხარისხს ან შედეგს ვერ მოვთხოვ, რადგან მალტაში ჩემი გუნდი არ ითამაშებს. მალტა არის გამოფენა, სადაც ყველა ფეხბურთელმა უნდა სცადოს ჩემი ყურადღების მიქცევა. მაჩვენონ — მეც აქ ვარ, დამინახე, ნაკრებში თამაში მინდა!"

ეს რამდენიმე ამონარიდია კლაუს ტოპმიოლერის პასუხებიდან, რომლებიც მან „სარბიელის" მკითხველებს გასცა. გერმანელ მწვრთნელთან კონტრაქტის თაობაზე სიტყვიერი შეთანხმებისთანავე ითქვა, რომ მალტის ოთხთა ტურნირი მისი პირველი გამოცდა იქნებოდა საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე. მალტამდე ერთი კვირაღა დარჩა, 23 თებერვალს ტოპმიოლერი საქართველოს ნაკრებთან ერთად კუნძულზე გაეგზავრება, თუმცა...

მალტის ტურნირი ვერაფრით იქნება კლაუს ტოპმიოლერის გამოცდა და ამას ერთბაშად რამდენიმე მიზეზი აქვს.

პირველი: ჰერ კლაუსმა იცის კახა კალაძე, ლევან კობიაშვილი, მალხაზ ასათიანი, ზურაბ ხიზანიშვილი — ქართველი ლეგიონერები, რომლებიც დღეს, რომ იტყვიან, საქართველოს საფეხბურთო სახეს განსაზღვრავენ, მაგრამ საუკეთესო შემთხვევაში, ტოპი საქმეში მათ ნახვას მალტური ტურნირის ბოლო შეხვედრაში, ლიბიასთან თუ შეძლებს. უეფას კალენდარში მხოლოდ 1 მარტია სანაკრებო დღედ შეტანილი და არც ერთ ჩვენს ლეგიონერს ერთი კვირით არავინ დაგვითმობს.

მეორე: პარიზული შეხვედრების, ახლა კი პარაგვაული მივლინების გადამკიდე, კლაუს ტოპმიოლერმა ვერაფრით მოახერხა საქართველოში დროულად ჩამოსვლა. შესაბამისად, მას ჯერ „ლაივში" არ უნახავს არც ერთი ქართული გუნდის თამაში და საქართველოს ჩემპიონატში მოთამაშეთაგანაც ვერ გააკეთებს დამოუკიდებლად არჩევანს. რალფ მინგე და ჰაინც ტოპმიოლერი? კეთილი, მაგრამ მათ ვისი ნახვა მოასწრეს?! საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების ორი ამხანაგური შეხვედრის. ამ დროს ხომ ქართული კლუბები, რომლებშიც პოტენციური მენაკრებენი თამაშობენ, შეკრებებზე იმყოფებოდნენ.

მესამე, რომელიც, ფაქტობრივად, მეორედან გამომდინარებს: 20 თებერვალს თბილისში ჩამოსულ კლაუს ტოპმიოლერს დაახვედრებენ სამალტედ შერჩეული მოთამაშეების სიას და მათგან დიდი ნაწილის შესახებ არც ტოპმიოლერებს და არც მინგეს ჯერჯერობით ინფორმაცია არ გააჩნიათ. არ ვამბობთ, რომ ეს ვიღაცის ბრალია — ეს რეალობაა, რომელსაც ვერსად გავექცევით.

ეს ყველაფერი რიგითმა ქომაგმაც, მედიამაც და საფეხბურთო ჩინოსნებმაც ბოლომდე უნდა გავითავისოთ. მალტური ტურნირი ბევრის და ბევრგვარი განსჯის საბაბი შეიძლება გახდეს, მაგრამ არავითარ შემთხვევაში კლაუს ტოპმიოლერის. მალტა მისი კი არა, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გამოცდა უფრო იქნება — რამდენად კომპეტენტური გამოდგება ტოპისთვის მიწოდებული ინფორმაცია ნაკრების კანდიდატთა შესახებ, რამდენად ოპტიმალური იქნება მალტაზე წამსვლელთა სია, რამდენად მშვიდი და საქმიანი იქნება ატმოსფერო გუნდში და მის სიახლოვეს... თუ ფეხბურთის ფედერაცია ამ გამოცდას წარმატებით ჩაბარებს, ალბათ, არც ტოპი ჩაიჭრება. სანაკრებო ფეხბურთში მისი კვალიფიკაციის პირველ საზომად, კი შესაძლოა, ალბანეთის ნაკრებთან 22 მარტისთვის დაგეგმილმა სპარინგმა ივარგოს. მანამდე ჩვენი ეროვნული გუნდის დამრიგებელს საქართველოს ჩემპიონატის რამდენიმე ტურის და უპრინციპულესი სათასო დაპირისპირებებისთვის თვალის მიდევნების, შესაბამისად კი, ჩვენს პირველობაზე მობურთალთა შეფასების შესაძლებლობა ექნება.

სად ფეხბურთი და სად „ლიტერატურაჩინა", მაგრამ თავს ერთი მეტაფორის უფლებას მაინც მივცემ: კლაუს ტოპმიოლერი იმ მზარეულს მაგონებს, წლების განმავლობაში დელიკატესებიდან რომ ამზადებდა საფირმო კერძებს. ნახელავიც ისეთი გამოუდიოდა, ნებისმიერი გურმანი ჩაიკვნეტდა თითებს. მართალია, ლევერკუზენული სამზარეულო გაცილებით ხვავრიელი იყო, ვიდრე ქართულია, მაგრამ არც ჩვენ ვართ მთლად ცარიელ-ტარიელნი. ჰოდა, რაც გვაქვს, ის ნახევარფაბრიკატი მაინც ბოლომდე გამოვუჩინოთ ამ კაცს და მხოლოდ მჭადის ფქვილით და ლობიოთი ნუ მოვთხოვთ კულინარიული შედევრის შექმნას.

გამოვუჩენთ? პატარა დროც მივცეთ და დარწმუნებულნი ბრძანდებოდეთ, კლაუს ტოპმიოლერი აუცილებლად შემოგვთავაზებს ახალ საფირმო კერძს, რომელსაც სახელად „საქართველოს ნაკრები" ერქმევა.

გიორგი ნოზაძე

პარიზის ცივი რომი: საფრანგეთი — უკრაინა

ჩვენი ჯგუფი უეფაში მიდის

ევრო 2008-ის B შესარჩევი ჯგუფის კალენდარს, ალბათ, უეფა შეადგენს.

გეცოდინებათ, მოლაპარაკებები ჩიხში შევიდა და სასიკეთო პირი არც უჩანს. საფრანგეთის, იტალიის, შოტლანდიის, ლიტვის, საქართველოს და ფარერების წარმომადგენლები ამაოდ ელოდნენ უკრაინელთა მოლბობას და მართალია, ბოლო ვადამ 27 თებერვლამდე გადაიწია, მაგრამ ამის იმედი უკვე აღარავის აქვს.

გუშინ საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციამ გამოაქვეყნა პრეს-რელიზი, რომელშიც ნათლად წერია, რომ ფრანგთა თავკაცი რაიმონ დომენეკი უკან დახევას არ აპირებს და ჯიუტ უკრაინასთან შეთანხმებას უკვე წარმოუდგენლად მიიჩნევს.

ბორის დოლინსკაიას ფოტო

ოლეგ ბლოხინმა და უკრაინამ თანაჯგუფელებს იმედი გაუცრუეს

„კალენდრის შედგენა შეუძლებელია. უკრაინული დელეგაციის მიერ წარმოდგენილი ვარიანტი ჩვენთვის მიუღებელია და მას არც სხვა ნაკრებები უჭერენ მხარს. თან დანარჩენ ექვს ქვეყანას უკვე გვქონდა შეთანხმებული ვარიანტი, რომელიც უკრაინელებმა რატომღაც დაგვიბლოკეს. კიდევ ერთხელ ვამბობთ, რომ ჩვენ კატეგორიული წინააღმდეგები ვართ უკრაინელთა ვარიანტის მიმართ და ექვსი ქვეყნის მიერ მიღებული ვარიანტის შეცვლას არ ვაპირებთ. მზად ვართ, კალენდრის შედგენა უეფას მივანდოთ" — ეკითხულობთ ფრანგთა პრეს-რელიზში.

ფრანგებს კვერი ლიტვის ნაკრების თავკაცმა ალგიმანტას ლიუბინსკასმაც დაუკრა: „უკრაინელების ვარიანტით, ჯერ მათთან კიევში უნდა გვეთამაშა და ოთხ დღეში პარიზში გვიწევდა ჩასვლა, რაც არანაირად ხელს არ გვაძლევს".

შეგახსენებთ, რომ B ჯგუფის წევრმა ექვსმა გუნდმა მეშვიდეს, უკრაინას, 27 თებერვლამდე დაუთქვა ბოლო ვადა, თუმცა უკრაინელები თავის მხრივ გადაჭრით ამბობენ, არაფერს დავთმობთო.

დაველოდოთ 2 მარტს და უეფას? ალბათ, ასეც მოგვიწევს...

კახა შალამბერიძე

პარაგვაი ასუნსიონში გაფორმდება. არგენტინაც?

მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალური ეტაპის მონაწილე პარაგვაის ნაკრები მზადების ბოლო ეტაპს ავსტრიაში გაივლის. ბუნებრივია, სამხრეთამერიკელები აქედანვე იჭერენ თადარიგს და საკონტროლო შეხვედრებს გეგმავენ. ადრეც გამცნეთ, რომ ფაქტობრივად გადაწყვეტილია: 31 მაისს პარაგვაელთა მეტოქე საქართველოს ნაკრები იქნება, თუმცა შეთანხმებას ორი ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციათა შორის ოფიციალურად გაფორმება სჭირდება.

გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივანი უჩა უგულავა და ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი კლაუს ტოპმიოლერი გერმანიიდან პარაგვაიში გაფრინდნენ. დღეს ასუნსიონში ქართული დელეგაცია ერთხელაც შეათანხმებს სპარინგის დეტალებს მასპინძლებთან, ხვალისთვის კი ერთობლივი პრესკონფერენციაა დაგეგმილი.

სავარაუდოდ, უგულავა და ტოპმიოლერი ასუნსიონშივე შეხვდებიან არგენტინული ფეხბურთის მესვეურებს და თუ მოლაპარაკება წარმატებით დასრულდა, მუნდიალის წინ არგენტინის ნაკრებიც ქართველებთან გაივლის რეპეტიციას. პარაგვაიდან უგულავა და ტოპმიოლერი გერმანიის გავლით 20 თებერვალს თბილისში დაბრუნდებიან.

გიორგი ნოზაძე

ფერრო არაფერია, ამინდზე ვფიქრობთ

ილია კოკაია: რა ჭნა, რომ ამბიციური კლუბის პრეზიდენტი ვარ?!

ბაჩარა დოლიძეგაბაშვილის ფოტო

დიდი შფოთია ზესტაფონში — ყველაფერი გუშინწინ საღამოს დაიწყო: „ფეროში“ ფინანსური პოლიციისა და სპეციალური ოპერტიული დეპარტამენტის თანამშრომლებთან ერთად კომპანია „დი-ეს-ემის წარმომადგენელი გიგა ბედინეიშვილი მივიდა და გამოაცხადა, „ფეროს“ ახალი დირექტორი მე გახლავართო.

ქარხანაში არ იმყოფებოდა „ფეროს“ ამჟამინდელი დირექტორი ნიკა ჩიქოვანი, მის მოვალეობას ვასილ გველესიანი ასრულებს, რომელიც საფეხბურთო კლუბ „ზესტაფონის“ ვიცე-პრეზიდენტიცაა. გიგა ბედინეიშვილს უთქვამს, „ფეროს“ 25 პროცენტს „დი-ეს-ემი“ ფლობს და უფლებამოსილება მაქვსო, თუმცა ქარხანაში იგი ცოცხალი თავით არ შეუშვიათ.

„ფეროს“ ამბავი რომ სისხლხორცეულად ეხება „ზესტაფონს“, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს. კლუბის პრეს-ატაშე სერგო ფუტკარაძემ გვითხრა, გულშემატკივრები აღშფოთებულნი არიან, თუ „ფეროში“ ახალი დირექტორი მივიდა, ჩათვალეთ, რომ ზესტაფონში ფეხბურთი ჩაკვდებაო.

... „ზესტაფონის“ პრეზიდენტი ილია კოკაია კლუბს არაფერს უჭირვებს. პატარა ქალაქს ფეხბურთი დაუბრუნა — ასეთია ზესტაფონელი ქომაგების აზრი.

გუშინ *ილია კოკაიამ* სიტუაცია აგვიხსნა და შიდასაფეროო ამბების გარდა თბილისის „დინამოსთან“ 18 თებერვლის სათასო მატჩზე და მთლიანად „ზესტაფონის“ გეგმებზეც გვესაუბრა...

— ამჟამად „ზესტაფონის“ ერთადერთი პრობლემა ამინდია. ასი კაცი მუშაობს მინდვრიდან თოვლის ასაღებად.

— ჯერ უფრო მნიშვნელოვან ამბავზე გვინდა გკითხოთ: გუშინ „ფეროში“ კომპანია „დი-ეს-ემის“ წარმომადგენელი გიგა ბედინეიშვილი შევიდა ფინანსურ პოლიციასთან და სოდ-თან ერთად...

— სოდ-ი მართავს ქვეყანას? როგორ იქნება დირექტორი გიგა ბედინეიშვილი, როცა „დი-ეს-ემს“ „ფეროში“ წილი აღარ აქვს?!

— კი მაგრამ, ითქვა, „დი-ეს-ემი“ 25 პროცენტს ფლობსო...

— „დი-ეს-ემი“ ავსტრიული კომპანიაა, თავის დროზე ქარხნის 51 პროცენტს ფლობდა, შემდეგ 25 პროცენტი გაყიდა და ბოლოს დარჩენილი წილიც კვიპროსულ კომპანიას მისცა. ასე რომ, რამდენი ვინმე რამეს იტყვის და რამდენი გამვლელი შევა „ფეროში“ ამას თუ ყურადღება მივაქციეთ...

სხვათა შორის, გუშინ საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, საქართველოში კერძო ობიექტები დაცულია და მათ საქმიანობაში უხეშად ჩარევის უფლება არავის აქვსო.

— გიგა ბედინეიშვილი „ფეროში“ არ შეუშვიათ. ამჟამად სად არის?

— როგორც გავიგე, რაღაც გზებს ეძებს, ეგებ უკანონოდ შევიდეს ქარხანაში, მაგრამ ეს გამორიცხულია. ჩვენ სისხლის სამართლის საქმეს აღვძრავთ „დი-ეს-ემთანაც“. უკვე გავაგზავნეთ საქმე ავსტრიაში. ასეთი ინტრიგანობა საქართველოსთვის ახალი არ არის — სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანას ამგვარი ხალხი ბევრი ჰყოლია, მაგრამ ყველაფერი ხომ ჩალით არაა დახურული.

სხვათა შორის, გუშინ კლუბისთვის ხელფასების დაბლოკვასაც ცდილობდნენ, მაგრამ იურისტები ჩვენც გვყავს. მოკლედ, „ზესტაფონს“ არაფერი გაუჭირდება და თუ შეიძლება, „ფეროს“ გარშემო მეტს ნულარ ვისაუბრებთ.

— კეთილი. „დინამოსთან“ სათასო მეოთხედფინალამდე სამი დღე რჩება. „ზესტაფონის“ ცენტრალური სტადიონი როგორ მდგომარეობაშია?

— მუშა პერსონალი და გულშემატკივრები ჩვენთან არიან, დღეს და ღამეს ასწორებენ, თოვლს იღებენ მინდვრიდან, მაგრამ ისევ თოვს და ეს გვიქმნის პრობლემებს. ვნახოთ, გამოდარების იმედი გვაქვს.

— 18 თებერვალს აუცილებლად გაიმართება მატჩი?

— გადაწყვეტილია, თუ ქვეყანა არ დაიქცა, 18-ში შინ ვითამაშებთ. ზესტაფონში საოცარი აჟიოტაჟია, სულ ცოტა, ათი ათასი გულშემატკივარი მოვა სტადიონზე და მჯერა, მათ არ გავაწბილებთ. გუნდი ახლახან დაბრუნდა კვიპროსული შეკრებიდან, დღეს კი გიორგი ნუგზარის ძე ჭელიძესთან კონტრაქტი გავაფორმეთ.

— ჭელიძეს შეუძლია „დინამოსთან“ თამაში?

— დიახ. გვიხარია, რომ ასეთი ნიჭიერი ფეხბურთელი დავიმატეთ. მართალია, არ წყდება ლაპარაკი, 21-წლამდელთა ნაკრებში სულ ზესტაფონელები არიანო, მაგრამ, რა ვქნა, რომ ამბიციური კლუბის პრეზიდენტი ვარ და ნაკრების ფეხბურთელებს ვიმატებ?!

— სატრანსფერო ფანჯარა ჯერაც ღიაა და, ალბათ, ჭელიძის გარდა სხვა ტრანსფერებზეც ფიქრობთ...

— რა თქმა უნდა. სწორედ ახალგაზრდული ნაკრების წევრებზე გვაქვს აქცენტი გადატანილი, მოლაპარაკებებს ვაწარმოებთ სხვადასხვა კლუბებთან — „ამერიდან“ მირზა ბჟალავას დამატება გვინდა.

— „ზესტაფონი“ ჩემპიონატში მეშვიდე ადგილზეა და ამის გამო პრიორიტეტს თასს ხომ არ ანიჭებთ?

— წლეულს ჩემპიონობა არც დაგვისახავს მიზნად. შესაძლოა, უეფას თასის საგზურზე ვიფიქროთ, მაგრამ ესეც ნაადრევი მგონია. „ზესტაფონი“ ჯერ არ არის იმ დონის გუნდი, რომ ევროპაში რამე ხმაურიანი მოახდინოს. შედეგზე მეტად მომავლის გუნდის გაკეთებაზე ვზრუნავთ, ამ ნიჭიერი ახალგაზრდების მეშვეობით ევროპული დონის გუნდი უნდა შევქმნათ.

— და როდის დადგება ეს დრო?

— დაახლოებით სამ წელიწადში. აჩქარება არცაა საჭირო.

ილია ნანოგაშვილი

ზესტაფონელები თოვლს არ უშინდებიან და თბილისის „დინამოს“ ელიან

ბევრჯერ ნანახი გოლუნახავი

ოთარ მარცვალაძეს თანაგუნდელმა დაუფარა

ისრაელში მესამე შეკრებაზე ჩასულმა კიევის „დინამომ“ ებრაელთა ახალგაზრდულ ნაკრებს 2:1 მოუგო და ოთარ მარცვალაძემ 90 წუთი ითამაშა.

ახალი არაფერი — ქართველი ფორვარდი კვლავ აქტიური იყო, შეტევებს ამწვავებდა, მაგრამ მაინც უგოლოდ დარჩა. ყველაზე რეალური მომენტი ოთარს ბოლო წუთებზე ჰქონდა, კარგადაც დაარტყა საჯარიმოს გარედან, თუმცა მოულოდნელად თანაგუნდელი როდოლფო გადაეფარა ბურთს.

მარცვალაძეს გოლი ძალიან სჭირდება: ეს ერთი გოლი უნდა იყოს ნავსის გამტეხი, თუმცა, როგორც შევიტყვეთ, კიევის „დინამო“ ისედაც აპირებს ქართველთან კონტრაქტის გაფორმებას — ამ საქმეს წინ, ფაქტობრივად, აღარაფერი უდგას.

ილია ნანოგაშვილი

რევიშვილს ნორვეგიელებთან კარი დაუკეტეს

ესპანურ ლა მანგას ტურნირზე ყაზანის „რუბინმა“ პირველი მატჩი ითამაშა და ნორვეგიულ „ოდ გრენლანდს“ 5:1 მოუგო. ქართველთაგან 90-90 წუთი ითამაშეს ლაშა სალუქვაძემ და გიორგი ქინქლაძემ, ხოლო ნუკრი რევიშვილს ყაზანელთა დამრიგებელმა ყურბან ბერდიევმა ამ შეხვედრაში კარი არ ანდო.

მომდევნო მატჩს „რუბინი“ ხვალ გამართავს მოსკოვის „დინამოსთან“.

ლუკა თალაკვაძე

ისევ 105

ფიფა-„კოკა-კოლას“ რეიტინგში საქართველოს ნაკრები კვლავ 105-ე ადგილზეა და კვლავაც გაბონ-მალავის შორისაა მოქცეული. მორიგი რეიტინგი ზუსტად ერთ თვეში გამოქვეყნდება და ვინძლო, საქართველომ მაღლაც აინაცვლოს — 15 მარტამდე ხომ კლაუს ტოპმიოლერის გუნდი მალტაზე სამ მატჩს ჩაატარებს.

რაც შეეხება ევრო 2008-ის შესარჩევ ჯგუფში ჩვენს მეტოქეებს: საფრანგეთი მეხუთეა, იტალია — მე-12, უკრაინა — 41-ე, შოტლანდია — 61-ე, ლიტვა — მე-100 და ფარერები — 132-ე.

ლუკა თალაკვაძე

ბედი თუ უბედობა სიონს დღეს გადაუწყდება

ბოლნისის „სიონმა“, რომელსაც ყოფილი ფეხბურთელები უჩივიან, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციიდან ტრანსფერების წარმოების უფლება კი მიიღო, მაგრამ ამით საქმე არ მოგვარებულა — უფლების გარდა ტრანსფერებს ხომ ფულიც სჭირდება.

ჰოდა, დღეს ბოლნისში ამ საკითხის ბოლომდე გასარკვევად კლუბის მეწილეები ერთმანეთს შეხვდებიან — ბოლნისის გამგეობის მხრიდან გამგებელი გია არევაძე და საწარმო „მადნეულის“ მხრიდან გენერალური დირექტორი კობა ნაყოფია. სწორედ ამ შეხვედრის შემდეგ გადაუწყდება „სიონის“ ბედი თუ უბედობა.

მოკლედ, ზეგ საქართველოს თასის მეოთხედფინალის პირველ შეხვედრაში ბოლნისელები „ბორჯომს“ ეთამაშებიან, მაგრამ საკუთარ ბანაკში რა როგორ იქნება, ჯერ ვერ გაურკვევიათ.

დავით თავართქილაძე

კახეთმა სამზე შეისვენა

ტექნიკური უნივერსიტეტის ხელოვნურსაფარიან მოედანზე საკონტროლო შეხვედრების სერია გრძელდება. მორიგ მატჩში თელავის „კახეთმა“ ქუთაისის „ტორპედოს“ 3:1 სძლია.

პირველ ნახევარში „კახეთის“ მთავარმა მწვრთნელმა ჯემალ მახარაშვილმა ასეთი შემადგენლობა ათამაშა: *ცინაძე, ტარულაშვილი, კობაიძე, მაღლაკელიძე, როსტიაშვილი, კევლიშვილი, გიორგობიანი, კუპრაშვილი, სოსელია, ხუციშვილი, კობახიძე.*

შეხვედრა კახელთა უპირატესობით დაიწყო და შესვენებამდე მათ სამი გოლის გატანა მოასწრეს — თავი როსტიაშვილმა, კობახიძემ და სოსელიამ გამოიჩინეს.

შესვენების შემდეგ ორივე გუნდის შემადგენლობები შეიცვალა, რაც თამაშზეც აისახა — კახელთა უპირატესობა თვალშისაცემი აღარ იყო და „ტორპედომ“ ერთი გოლის გაქვითვაც მოახერხა: კობა შალამბერიძის მონადირებული პენალტი ზვიად ჩხეტიანმა გამოიყენა.

გიორგი ნოზაძე

ფიფას რევიზია ბასაში

მეორე დღეა, თბილისს ფიფას წარმომადგენლები სტუმრობენ — გუშინწინ ჩამოსულ ვალერი ჩუხრის გუშინ ფიფას პროგრამა „გოლის“ კურატორი ევა პასკიეც შეუერთდა. მათ საფრანგეთიდან დაბრუნებულ ნოდარ ახალკაცთან ერთად დაათვალიერეს ეროვნული ნაკრების ტექნიკური ცენტრი „ბასა“.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პოზიცია უცვლელია: „ბასა“ არ პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს და იმისთვის, რომ ეროვნულმა ნაკრებმა ამ ბაზაზე სრულფასოვანი მოსამზადებელი შეკრება გაიაროს, ბევრი რამ არის გასაკეთებელი. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურის ცნობით, ფიფას ემისრები დაეთანხმნენ ნოდარ ახალკაცის მოსაზრებას.

ვალერი ჩუხრისა და ევა პასკიეს ვიზიტი კიდევ ორ დღეს გასტანს და ფედერაციის ხელმძღვანელობასთან შეხვედრებიც გაგრძელდება.

გიორგი ნოზაძე

ცხინვალი ახალკაცსაც ელის
რა გახდა 80 ათასი?!

საქართველოს ჩემპიონატის განახლებამდე ექვსი დღეღა დარჩა და წესით, კლუბებს ახლა არ უნდა უწევდეთ ფულზე სირბილი, არიქა, ბენზინის ფული მაინც ვიშოვოთ, რომ გასვლით მატჩებზე ვიაროთო, მაგრამ ქართული რეალობა ესაა. „ცხინვალი“ კვლავაც იმ 80 ათასი ლარის მოლოდინშია, რომელიც მთელი წლის განმავლობაში უნდა იმყოფინოს და თანაც თანხის 32 პროცენტი ბეგარაში გადაიხადოს.

„როგორც იცით, ჩვენ ადრეც შეგხვდით სახელმწიფო მინისტრ გოგა ხაინდრავას და მას გუშინწინაც ვესაუბრეთ. ვიცი, ბატონი გოგა შეწუხებულია ჩვენი მდგომარეობით. მან კარგად იცის, რომ ედუარდ კოკოითის შემწეობით ცხინვალის ოსური გუნდი რუსეთის რომელიღაც ლიგაში თამაშობს და ჩვენ რომ დავიშალოთ, ეს მთლიანად საქართველოს პრესტიჟის დაცემა იქნება. ხაინდრავამ ჩვენი თანდასწრებით დაურეკა ფინანსთა მინისტრ ალექსი ალექსიშვილს, რომელმაც თანადგომა კი გამოთქვა, მაგრამ, როგორც გავიგეთ, თანხის გადმოცემას მხოლოდ ის ვერ გადაწყვეტს. სამწუხაროდ, საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ამ დღეებში ძალიან დაკავებული გახლდათ. ხაინდრავამ გვითხრა, თუ გამოუვალი სიტუაცია შეიქნა, პრეზიდენტთანაც კი შევალო“ — გვითხრა „ცხინვალის“ დამფუძნებელმა ფაცო ნასუაშვილმა.

მანვე ისიც გვითხრა, ნოდარ ახალკაცსაც შევხვდებით და ავუხსნით მდგომარეობას. იმედია, მისი ჩარევა უფრო დააჩქარებს საქმესო...

„ხალხმა რომ იცოდეს, ამ კლუბის ფეხზე დაყენებისთვის რა სამუშაო გავწიეთ, სტადიონს როგორ ვუვლიდით და თეთრებით როგორ ვინარჩუნებდით გუნდს, ხუთჯერ 80 ათას ლარს გადმოგვცემდნენ“.

ილია ნანობაჯვილი

საქართველოს 17 ჩემპიონატი
პირველი ლიგა
მეორე ნრა
ლიგა

კალენდარი

ბაზრი კეთილაძის ფოტო

პირველლიგელებს მეორე წრის კალენდარი დაუდგინეს

XVIII ტური
25 თებერვალი, შაბათი
ზესტაფონი 2 — მეშახტე
ლიახვი — ჩიხურა
ზუგდიდი — ამერი 2
დინამო 2 — ლოკომოტივი 2
საგარეჯო — მაღაროელი
თბილისი 2 — გურია
ვიტ ჯორჯია 2 — რუსთავი
გაგრა — მერანი
მეშაქრე — მესხეთი

XIX ტური
1 მარტი, ოთხშაბათი
მერანი — ვიტ ჯორჯია 2
მეშახტე — მესხეთი
ჩიხურა — ზესტაფონი 2
ამერი 2 — ლიახვი
ლოკომოტივი 2 — ზუგდიდი
მაღაროელი — დინამო 2
რუსთავი — თბილისი 2
გაგრა — მეშაქრე
გურია — საგარეჯო

XX ტური
5 მარტი, კვირა
ზუგდიდი — მაღაროელი
მესხეთი — ჩიხურა
თბილისი 2 — მერანი
საგარეჯო — რუსთავი
ზესტაფონი 2 — ამერი 2
მეშაქრე — მეშახტე
ლიახვი — ლოკომოტივი 2
დინამო 2 — გურია
ვიტ ჯორჯია — გაგრა

XXI ტური
12 მარტი, კვირა
მაღაროელი — ლიახვი
ჩიხურა — მეშახტე
გაგრა — თბილისი 2
მერანი — საგარეჯო
ამერი 2 — მესხეთი
ლოკომოტივი 2 — ზესტაფონი 2
გურია — ზუგდიდი
ვიტ ჯორჯია 2 — მეშაქრე
რუსთავი — დინამო 2

XXII ტური
16 მარტი, ხუთშაბათი
ზუგდიდი — რუსთავი
თბილისი 2 — ლოკომოტივი 2
საგარეჯო — გაგრა
დინამო 2 — მერანი
მეშახტე — ამერი 2
მესხეთი — ვიტ ჯორჯია 2
ზესტაფონი 2 — მაღაროელი
მეშაქრე — ჩიხურა
ლიახვი — გურია

XXIII ტური
23 მარტი, ხუთშაბათი
მერანი — ზუგდიდი
ამერი 2 — ჩიხურა
ლოკომოტივი 2 — მეშახტე
მაღაროელი — მესხეთი
რუსთავი — ლიახვი
გაგრა — დინამო 2
ვიტ ჯორჯია 2 — საგარეჯო
თბილისი 2 — მეშაქრე
გურია — ზესტაფონი 2

XXIV ტური
27 მარტი, ორშაბათი
მესხეთი — გურია
დინამო 2 — ვიტ ჯორჯია 2
ზუგდიდი — გაგრა
საგარეჯო — თბილისი 2
მეშახტე — მაღაროელი
ჩიხურა — ლოკომოტივი 2
მეშაქრე — ამერი 2
ზესტაფონი 2 — რუსთავი
ლიახვი — მერანი

XXV ტური
30 მარტი, ხუთშაბათი
თბილისი 2 — დინამო 2
ვიტ ჯორჯია 2 — ზუგდიდი
გაგრა — ლიახვი
ლოკომოტივი 2 — ამერი 2
მაღაროელი — ჩიხურა
გურია — მეშახტე
მერანი — ზესტაფონი 2
საგარეჯო — მეშაქრე
რუსთავი — მესხეთი

XXVI ტური
6 აპრილი, ხუთშაბათი
ზესტაფონი 2 — გაგრა
ლოკომოტივი 2 — მეშაქრე
ამერი 2 — მაღაროელი
ჩიხურა — გურია
მესხეთი — მერანი
ლიახვი — ვიტ ჯორჯია 2
ზუგდიდი — თბილისი 2
დინამო 2 — საგარეჯო
მეშახტე — რუსთავი

XXVII ტური
10 აპრილი, ორშაბათი
ვიტ ჯორჯია 2 — ზესტაფონი 2
მაღაროელი — ლოკომოტივი 2
ამერი 2 — გურია
რუსთავი — ჩიხურა
გაგრა — მესხეთი
თბილისი 2 — ლიახვი
საგარეჯო — ზუგდიდი
დინამო 2 — მეშაქრე
მერანი — მეშახტე

XXVIII ტური
13 აპრილი, ხუთშაბათი
ზესტაფონი 2 — თბილისი 2
ჩიხურა — მერანი
ზუგდიდი — დინამო 2
ლიახვი — საგარეჯო
მეშაქრე — მაღაროელი
ამერი 2 — რუსთავი
ლოკომოტივი 2 — გურია
მესხეთი — ვიტ ჯორჯია 2
მეშახტე — გაგრა

XXIX ტური
17 აპრილი, ორშაბათი
თბილისი 2 — მესხეთი
გურია — მაღაროელი
ლოკომოტივი 2 — რუსთავი
მერანი — ამერი 2
ვიტ ჯორჯია 2 — მეშახტე
საგარეჯო — ზესტაფონი 2
დინამო 2 — ლიახვი
ზუგდიდი — მეშაქრე
გაგრა — ჩიხურა

XXX ტური
21 აპრილი, პარასკევი
მეშახტე — თბილისი 2
ჩიხურა — ვიტ ჯორჯია 2
მესხეთი — საგარეჯო
ლიახვი — ზუგდიდი
ლოკომოტივი 2 — მერანი
ამერი 2 — გაგრა
მეშაქრე — გურია
ზესტაფონი 2 — დინამო 2
22 აპრილი, შაბათი
მაღაროელი — რუსთავი

XXXI ტური
27 აპრილი, ხუთშაბათი
საგარეჯო — მეშახტე
რუსთავი — გურია
მერანი — მაღაროელი
ლოკომოტივი 2 — გაგრა
ვიტ ჯორჯია 2 — ამერი 2
დინამო 2 — მესხეთი
ზუგდიდი — ზესტაფონი 2
ლიახვი — მეშაქრე
თბილისი 2 — ჩიხურა

XXXII ტური
3 მაისი, ოთხშაბათი
ჩიხურა — საგარეჯო
მესხეთი — ზუგდიდი
გურია — მერანი
მეშაქრე — რუსთავი
მაღაროელი — გაგრა
ვიტ ჯორჯია 2 — ლოკომოტივი 2
ამერი 2 — თბილისი 2
ზესტაფონი 2 — ლიახვი
მეშახტე — დინამო 2

XXXIII ტური
7 მაისი, კვირა
საგარეჯო — ამერი 2
მერანი — რუსთავი
გაგრა — გურია
თბილისი 2 — ლოკომოტივი 2
დინამო 2 — ჩიხურა
ზუგდიდი — მეშახტე
ლიახვი — მესხეთი
ზესტაფონი 2 — მეშაქრე
ვიტ ჯორჯია 2 — მაღაროელი

XXXIV ტური
10 მაისი, ოთხშაბათი
მესხეთი — ზესტაფონი 2
მეშაქრე — მერანი
რუსთავი — გაგრა
გურია — ვიტ ჯორჯია 2
მაღაროელი — თბილისი 2
ლოკომოტივი 2 — საგარეჯო
ამერი 2 — დინამო 2
ზუგდიდი — ჩიხურა
მეშახტე — ლიახვი

„მილანის“ 37 წლის უკვე ლეგენდად ქცეული კაპიტანი პაოლო მალდინი ახლა ტრავმირებულია და თვენახევარზე მეტია, მინდორზე არ გასულა. არადა, ბევრი მის ასაკში თამაშს საერთოდ მიატოვებდა. ბევრჯერ დაიწერა, მალდინი თამაშს ფეხბურთის სიყვარულის გამო ვერ ელევაო, მაგრამ მან უკვე იცის, რომ მალე ბრწყინვალე 20-წლიანი კარიერის დასრულება მოუწევს. ეს ინტერვიუ მალდინის რუსულმა „სპორტ-ექსპრესმა“ მილანელოს საწვრთნელ ბაზაზე ჩამოართვა და მას შემცირებული სახით გთავაზობთ. რაც მოვაკელით, იმას ფეხბურთთან საქმე არ ჰქონდა, ტურინის ზამთრის ოლიმპიადაზე იყო ლაპარაკი...

ვთქვი და მორჩა: მივდივარ!

მალდინის წყენა: ოქროს ბურთს მცველები არ უყვარს

— „ლივერპულთან“ ჩემპიონთა ლიგის დრამატული ფინალი გაიხსენეთ. შეგიძლიათ ახსნათ, რა მოხდა სტამბოლში?

— რა უნდა ვთქვა? დრო გადის, ახსნას კი მაინც ვერ ვპოულობ. დღემდე მჯერა, რომ ის მატჩი ბრწყინვალედ ვითამაშეთ. მაპატიეთ, მეტს ვერაფერს ვიტყვი.

— ანუ სტამბოლური ფინალი ყველაზე კოშმარულია თქვენს კარიერაში?

— ასე ვერ ვიტყვი, რადგან საკლუბო დონეზე ჩემპიონთა თასი ოთხჯერ მომიგია. რაც შეეხება სანაკრებო კარიერას, გული ორჯერ დამწყდა, როცა მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების ფინალები წავაგეთ: 1994-ში პენალტებით ბრაზილიასთან და 2000-ში საფრანგეთთან. მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი ხომ ვეღარასოდეს გავხდები.

— რატომ, თუ „სკუადრა აძურაში“ დაპირებთ დაბრუნებას, გერმანიაში არცთუ ურიგო შანსი გეჭნებათ...

— არ მიყვარს ამ თემაზე ლაპარაკი. ერთხელ ვთქვი და მორჩა, ჩემ სიტყვას არასოდეს გადავსულვარ და არც ახლა გადავალ. რაღაც მომენტში ვიგრძენი, რომ ჩემი დრო უკვე წავიდა, თანაც ნაკრებში ის ხალხიც აღარ არის, ვისთანაც წლების მანძილზე ვთამაშობდი. მოკლედ, გზა ახალგაზრდებისთვის უნდა დამეთმო.

— ბევრს უთქვამს, საცოდაობაა, პაოლო მალდინის „ოქროს ბურთი“ ერთხელაც რომ არ აღირსესო. ნუთუ მცველები ასე არ უყვართ?

— ეს მეც გამიგია და გამოვიტყდებით, მსიამოვნებს ამის მოსმენა. მაგრამ რას ვიზამ, როგორც ჩანს, „ოქროს ბურთს“ ნაღდად არ უყვარს მცველები. გამოკითხვას ჟურნალისტები ატარებენ და, ბუნებრივია, მათ ფორვარდების ბრწყინვალე გოლები, ნახევარმცველთა პასები თუ მეკარეთა ოსტატობა ხიბლავთ. ასე რომ, ჩვენ, მცველები, რაღაცნაირად დაჩაგრულებიც ვართ. არ მინდა, ვიფიქრო, რომ ასე შეგნებულად იქცევიან. უბრალოდ, ნაკლებ ყურადღებას გვაქცევთ მცველებს.

— წლებია, იტალიის ნაკრების კაპიტნები სულ მცველები არიან — ჯერ ბარეზი, მერე თქვენ, ახლა კანავარო. რატომ?

— იმიტომ, რომ ცენტრალურ მცველს მოედანზე უდიდესი პასუხისმგებლობა აკისრია. იტალიელებმა ხომ ეს საქმე მშვენივრად ვიცით, ტყუილად ხომ არ გამოგვიგონებია „კატენაჩო“.

— „მილანს“ კი თქვენ არყოფნაში ანდრეი შევჩენკო კაპიტნობს. როგორ ფიქრობთ, ღირსეულად?

— ულაპარაკოდ. შევჩენკომ ეს დაიმსახურა თავისი დამოკიდებულებით საქმისადმი, კლუბისადმი და თანგუნდელებისადმი. „შევა“ ბრწყინვალე კაპიტანია. სხვათა შორის, კაპიტნის სამკლავურის მორგება მას მე ვთხოვე.

— ადრე თქვით, რომ კარიერას 2007 წელს დასრულებთ. მერე რას გაკეთებთ, მწვრთნელობას დაიწყებთ?

— არავითარ შემთხვევაში. ჯერ დავისვენებ, მერე კი ვნახოთ. მაგრამ მწვრთნელი ნამდვილად არ ვიქნები. კარლო ანჩელოტის რომ ვუყურებ, მე მაგდენს ნამდვილად ვერ გავუძლებ. არადა, კარლიტო ბუნებით ძალიან მშვიდი და გაწონასწორებული პიროვნებაა. სიბერის ჟამს სტრესებში ყოფნა ნამდვილად არ მინდა.

იტალიური „მილანის“ ფორვარდმა ფილიპო ინძაგიმ განაცხადა, რომ მომავალ ზაფხულს არსად წასვლას არ აპირებს. მისი კომენტარი ახლახან გავრცელებულ ჭორებს მოჰყვა, პიპო „სან სიროს“ ტოვებს და ეგებ „რომაში“ გადავიდესო. „მიხარია, რომ „მილანში“ ვრჩები. თავს ამ ოჯახის წევრად ვთვლი და სიამოვნებას ვიღებ, როცა „მილანის“ მაისურით ვთამაშობ. ტრავმა ბოლომდე მოვიშუშე და ძირითად შემადგენლობაში ადგილისთვის ბრძოლას გავაგრძელებ“ — თქვა 32 წლის თავდამსხმელმა.

ინგლისური „პორტსმუთის“ პატრონმა მილან მანდარიჩმა რამდენიმე მესიჯი მიიღო. კლუბის ფანები მწვრთნელ ჰარი რედნაპის გადაყენებას ითხოვენ. მას მერე, რაც გუნდში ალექსანდრ გაიდამაკი გამოჩნდა და დიდი ფული ჩადო, „პორტსმუთმა“ 9 ახალი ფეხბურთელი იყიდა, მაგრამ მოგება ჯერაც არ უნახავს. „ადრე შეტყობინებები ფრანგ მწვრთნელ ალან პერინზე მომდიოდა, ახლა რედნაპის გადაყენებას მთხოვენ. ქომაგებისაც კარგად მესმის და გაიდამაკისაც, თუმცა ცოტაც უნდა მოვითმინოთ, მე რედნაპის მჯერა, იგი გამოცდილი კაცია“ — აღნიშნა მანდარიჩმა.

ფრანგული „ნანტის“ ნახევარმცველი ჟილ იაპი იაპო სეზონის ბოლომდე შეეიცარიულ „იანგ ბოისში“ ითამაშებს. მას „ნანტის“ ძირითად შემადგენლობაში ადგილი გარანტირებული არ ჰქონდა და ამის გამო კლუბის გამოცვლა არჩია. 24 წლის ფეხბურთელს მსოფლიოს ჩემპიონატზე გამგზავრება და თამაში უნდა, რისთვისაც პრაქტიკა სჭირდება.

პორტუგალიური „ბენფიკას“ გარემარბი ჯოვანი დაშავდა და ჩემპიონთა ლიგის მატჩს „ლივერპულთან“ გამოტოვებს. ექიმების თქმით, იგი სულ ცოტა, ერთ თვეს ლაზარეთში გაატარებს. 26 წლის ბრაზილიელი გასულ კვირას „პენაფიელთან“ მოგებულ (4:0) მატჩში დაშავდა. ჯოვანი გუნდის ერთ-ერთი ლიდერია და ცხადია, „ბენფიკას“ ხელმძღვანელობა ამ ინფორმაციამ ძალიან დააღონა.

ფრანგული ჰსჟ-ს ფეხბურთელი სერგეი სემაკი საბოლოოდ გაეყარა გუნდს. პარიზულ კლუბში ერთი წლის წინ გადასულმა ნახევარმცველმა ძირითად შემადგენლობაში დამკვიდრება ვერაფრით ვერ შეძლო და რუსეთში დაბრუნებას დაყაბულდა. უკრაინაში დაბადებული 26 წლის ფეხბურთელი ამბიციურ კლუბ „მოსკოვში“ ჩაირიცხა და კლუბთან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა. შეგახსენებთ, რომ რუსეთის ჩემპიონატი 19 მარტს დაიწყება.

საუკუნის ცრემლი

საუკუნეს მიღწეულმა მანუელ კასტანიოსმა ცრემლი ვერ შეიკავა, როცა ბილბაოს „ატლეტიკის“ მაისურა გადასცეს. იცნობდეთ, ამ სურათზე რომ ბასკურბერეტიანი მოხუცია, „ბილბაოს“ 100 წლის ყოფილი ნახევარმცველი გახლავთ. ღირსეულ კაცს „ატლეტიკმაც“ ღირსეული ფიესტა მოუწყო — დიდი ზარ-ზეიმით მიიღეს „სან მამესის“ მუზეუმში და კლუბის 100-ნომრიანი მაისურაც უფეშქაშეს... „ბედნიერი ვარ, რომ ბილბაოში ვთამაშობდი, დაფასებისთვის ყველას მადლობას გიხდით“ — განუცხადა მანუელ კასტანიოსმა კლუბის ამჟამინდელ პრეზიდენტ ფერნანდო ლამიკისს. მანუელ კასტანიოსი ბასკთა პირველ გუნდში 1926-31 წლებში თამაშობდა, დიდი ვარსკვლავი არა, მაგრამ შეუპოვარი მებრძოლი ყოფილა. მეტოქეები მასთან შეჯახებას თურმე ძალიან უფრთხოდნენ...

კასტანიოსმა „ბილბაოში“ 21 ოფიციალური და 80 ამხანაგური მატჩი ჩაატარა და ფეხბურთელობას ელექტრიკოსობასაც უთავსებდა. ახლა კი საუკუნოვან კაცს „ბილბაოს“ მაისურა გულში ჩაუკრავს და ტირის...

ლადო ხომერიკი

ბათის ბოდიში, ბოდიში და, ფეხებზე დაიკიდეს



დეკემბერში გულშემატკივრებმა რომ უთხრეს „ბირმინგემის“ თავკაც სტივ ბრიუსს, ნიკი ბათი ხეირს არ დაგაყრისო, მენეჯერი გაბრაზდა და შესძახა: „აზრზე არა ხართ, რას ლაპარაკობთ!“ გუშინ კი ბრიუსმა ბათი დაჯარიმა.

„ვესტ ჰემთან“ თამაშის წინ ნიკიმ თავისი გვარი განაცხადში ვერ იპოვა და შინ წავიდა. ბრიუსმა თავისი ვაჟი, ალექსი ათამაშა მის ადგილზე და თქვა, რომ ბათს დასჯიდა.

ყოფილი მანჩესტერელი ყველაზე დიდხელფასიანი ფეხბურთელია „ბირმინგემში“ და ამბობენ, რომ საკლუბო სანქცია 76 ათას გირვანქას მაინც ჩამოაჭრის მას. თავად ბათმა მოიბოდიშასავით: „წასვლა არასწორი იყო. ყველას მოვუბოდიშებ, მაგრამ ძალიან მეწყინა ეს ამბავი“.

ჯარიმა ჯარიმად დარჩება, ბრიუსმაც ხელი გაუწოდა ნიკის, რომელიც თურმე საერთოდ არ ყოფილა ასეთი ყოყოჩი და მოუთმენელი. თუმცა, ალბათ მაინც ძნელია, 15 სეზონს რომ „მანჩესტერში“ გაატარებს და მერე „ბირმინგემის“ განაცხადში ვერ ხვდება.

ირაკლი გამყრელიძე

ჯერარდის გაფუჭებული ლუის გარსიამ გამოაკეთა

ეს მაინც არ არის კოშმარი

ლივერპულმა ბობ პეისლის ჭიქის ნაცვლად არესნალი წაუქცია

ინგლისი

პრემიერლიგა
გადადებული მატჩი

ლივერპული 1:0 არსენალი

1:0 ლუის გარსია (87)

ლივერპული: დუდეკი, ფინანი, კარაგერი, ჰიიპია, რიისე, ჯერარდი, სისოკო (ლუის გარსია 84), ხაბი ალონსო (ჰამანი 72), კიუელი, მორიენტესი, ფაულერი (ჯ. სისე 80)

მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი

არსენალი: ლემანი, ებუ, კ. ტურე, სენდეროსი, ფლამინი, ლიუნგბერგი, ფაბრეგასი, ჟილბერტო სილვა, პირესი (გლები 79), ანრი, ადებაიორი

მწვრთნელი: არსენ ვენგერი

გაფრთხილება: ლიუნგბერგი

მსაჯი: პოლი

44 065 მაყურებელი

სტივენ ჯერარდმა პენალტი გააფუჭა, „ლივერპულმა“ კი მაინც მოუგო „არსენალს“ „ენფილდზე“ და ცხრილში 10 ქულით ჩამოიტოვა.

მატჩის გმირი შეიქნა შეცვლაზე შესული ლუის გარსია, რომელმაც 87-ე წუთზე გაიტანა შეხვედრის ერთადერთი გოლი. „მეთოფეთა“ საუკეთესო მოთამაშე კი იყო მეკარე იენს ლემანი, რომელმაც სამი წარმოუდგენელი ბურთი მოიგერია: მათ შორის, პირველი ტაიმის პენალტი. „ლივერპულისთვის“ განსაკუთრებული საღამო იყო: დიად მწვრთნელ ბობ პეისლის გარდაცვალებიდან ათი წელი შესრულდა.

ჯერარდმაც გვარიან კუთხეში დაარტყა პენალტი, ოღონდაც, ლემანი წინდაწინ არჩეულ კუთხეში მაგრად დაუხვდა. ამის მიუხედავად, „არსენალმა“ ვერ გამოსტაცა თამაში „ლივერპულს“, რომელსაც ნამდვილად ეკუთვნოდა მოგება, მაგრამ გმირობათა ჩამდენი ლემანიც ცოდო იყო.

ჯერარდმა გასახდელში ჩაკოცნა ლუის გარსია, არსენ ვენგერმა კი მაინც თქვა, ჩვენთვის სეზონი არ დამთავრებულაო: „ეს თამაში მებრძოლი სულით დავიწყეთ, მაგრამ მალევე გავტყდით და დავისაჯეთ. ამის მიუხედავად, არ ვთვლი, რომ ეს კოშმარია“.

ირაკლი გამყრელიძე

ჩელსი	26	21	3	2	52:16	66
მანჩესტერი	26	16	6	4	52:27	54
ლივერპული	26	15	6	5	32:17	51
ტოტენჰემი	26	12	9	5	35:22	45
არსენალი	26	12	5	9	39:21	41
ვესტ ჰემი	26	12	5	9	39:34	41
ბოლტონი	24	10	9	5	30:23	39
უიგანი	26	12	3	11	30:32	39
სიტი	26	11	4	11	36:30	37
ბლექბერნი	25	11	4	10	31:31	37
ევერტონი	26	11	3	12	19:32	36
ჩარლტონი	25	10	3	12	32:37	33
ფულემი	26	9	5	12	36:37	32
ნიუკასლი	25	9	5	11	24:29	32
ასტონ ვილა	26	7	9	10	32:35	30
მიდლსბრო	25	7	7	11	33:44	28
ვესტ ბრომვიჩი	26	7	5	14	24:38	26
ბირმინგემი	25	5	5	15	21:37	20
პორტსმუთი	26	4	6	16	18:45	18
სანდერლენდი	25	2	4	19	18:46	10

ჩემპიონატი. XXXIV ტური

ბარნლი — ვულვზი 0:1; ქრიუ — იფსვიჩი 1:2; ლიდსი — უოტფორდი 2:1; ლესტერი — დერბი 2:2; ლუთონი — კარდიფი 3:3; მილუოლი — ჰალი 1:1; ნორვიჩი — ბრაიტონი 3:0; შეფილდი — რედინგი 1:1; სტოკი — პლიმუთი 0:0; კრ. პალასი — ქუინზ პარკი 2:1

რედინგი	34	25	8	1	73:20	83
შეფილდი	34	21	8	5	60:33	71
ლიდსი	33	18	8	7	46:26	62
უოტფორდი	34	17	10	7	62:40	61
კრ. პალასი	33	16	8	9	47:32	56
პრესტონი	32	13	15	4	44:23	54
კარდიფი	34	13	10	11	48:41	49
ვულვზი	33	11	14	8	36:28	47
იფსვიჩი	34	12	11	11	40:47	47
ლუთონი	34	13	6	15	51:52	45
ბარნლი	34	12	7	15	41:43	43
ნორვიჩი	34	12	7	15	40:47	43
ქუინზ პარკი	34	11	9	14	38:48	42
ქოვენთრი	33	10	11	12	44:49	41
პლიმუთი	33	9	13	11	29:37	40
სტოკი	33	12	4	17	35:47	40
ჰალი	34	9	11	14	37:42	38
საუთჰემპტონი	33	7	15	11	30:36	36
ლესტერი	34	8	12	14	37:45	36
დერბი	34	6	17	11	42:50	35
უენსდი	33	8	10	15	25:39	34
ბრაიტონი	34	5	14	15	31:54	29
მილუოლი	34	5	13	16	24:46	28
ქრიუ	34	4	11	19	39:74	23

ჯერ „რეალის“ სიხარული იყო, მერე კი სარაგოსელი ტოლედოს თითი

კინაღამ...

ითამაშე ისე, რომ წაგება იყოს უზენაესი უსამართლობა

მსპანეთი

თასის ნახევარფინალი
საპასუხო მატჩი

რეალი 4:0 *სარაგოსა* (1:6)

1:0 სისინიო (1), 2:0 რობინიო (5), 3:0 რონალდო (10), 4:0 რობერტო კარლოსი (60)

რეალი: კასილიასი, სისინიო, ვუდგეიტი, სერხიო რამოსი, რობერტო კარლოსი, ბექემი, გრავესენი (დიოგო 82), ჟულიო ბაპტისტა (კასანო 82), ზიდანი, რონალდო, რობინიო

მწვრთნელი: ხუან რამოს ლოპეს კარო

სარაგოსა: სესარი, პონციო, გ. მილიტო, ალვარო, ტოლედო (ხენერელო 80), ოსკარი, სელადესი, საპატერი, ჩანი, ევერტონი (სერხიო გარსია 86), დ. მილიტო (კაპი 89)

მწვრთნელი: ვიქტორ მუნიოსი

გაფრთხილება: ბექემი, ოსკარი, ტოლედო, ჟულიო ბაპტისტა, საპატერი

მსაჯი: გონსალეს ვასკესი

80 000 მაყურებელი

„სანტიაგო ბერნაბეუზე“

თამაშის მერე „სარაგოსას“ მეკარემ სესარ სანჩესმა (სხვათა შორის, „რეალის“ ექსგოლკიპერმა) ჟურნალისტებთან საუბარში გულახდილად აღიარა — როცა პირველ ათ წუთში მადრიდელებმა სამი ბურთი გამიტანეს, ვიფიქრე, ტრავმას მოვიგონებ და მწვრთნელს შეცვლას ვთხოვ, აბა, ამ ჯოჯოხეთს ვინ გაუძლებსო. სესარმა ძველ თანაგუნდელთა შეტევებს გაჭირვებით, მაგრამ მაინც ბოლომდე გაუძლო, „რეალმა“ კი „ლა რომარედაზე“ წაგებული 1:6-ის ამოტრიალება ვერ მოახერხა. „ბერნაბეუზე“ გალაქტიკოსებმა 4:0 გაიმარჯვეს და თასის ფინალში თამაშის პატივიც „სარაგოსას“ ერგო.

ანგარიში „რეალმა“ შეხვედრის პირველსავე წუთზე გახსნა — ბრაზილიელმა სისინიომ სტუმრებს 30 მეტრიდან ლამაზი გოლი შეუგდო. სამი წუთის მერე რობინიომ სეზარის საჯარიმოსთან მოიგდო ბურთი და მეორე გაიტანა. „სარაგოსას“ კართან დატრიალებული გოლკარუსელი რონალდომ დაასრულა — ბექემის შესანიშნავი პასის შემდეგ კიჭა ტაბლოზე 3:0-ს აფიქსირებს.

ამ თამაშამდე მადრიდში „რეალის“ 80-იანი წლების ლეგენდას, ხუანიტოს იხსენებდნენ, რომელმაც 1985 წელს უეფას თასის საპასუხო მატჩში გერმანულ „გლადბახს“ სისხლი გაუშრო და სტუმრად 1:5 წაგებული თამაში „ბერნაბეუზე“ საჭირო 4:0-ად აქცია. არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ „სარაგოსასთან“ პირველ ტაიმში მოედანზე 11 ხუანიტო იყო. შესვენების შემდეგაც მადრიდელები ბატონობდნენ — მე-60 წუთზე რობერტო კარლოსმა სტუმართა კარი ჩუბინი გასროლით დალაშქრა და „რეალის“ ინჩასებსაც ფინალში მოხვედრის იმედი გაუორმაგდათ. სამეფო გუნდს ამის მერე საქმის ბოლომდე მისაყვანად მთელი ნახევარი საათი ჰქონდა, თუმცა, მიუხედავად არაგონელთა სისუსტისა, ლოპეს კაროს ბიჭებმა იმ მეხუთე, „ოქროს ბურთის“ შეგდება მაინც ვეღარ მოახერხეს. გალაქტიკოსებს დაღლილობა დაეტყოთ — ბექემის პასებმა სიზუსტე დაკარგა, ზიდანი და რონალდო კი შეტევაში ისე ვეღარ ბრწყინავდნენ. „ბერნაბეუს“ ფანებს თამაშის მიწურულს ორჯერ ამოუტრიალდათ გული — პირველად, როცა მსაჯმა სარაგოსელი ევერტონის გოლი გააუქმა და მეორედ, როცა რონალდომ სესარის კარის ძელს შეახეთქა ბურთი. საბოლოოდ, 4:0 და ვიქტორ მუნიოსის გუნდი თასის ფინალში „დეპორტივო“ — „ესპანიოლის“ წყვილის გამარჯვებულს უნდა გაეჯიბროს. „რეალმა“ კი ვინძლო რაღაც უფრო მეტი მოიგო, ვიდრე ერთი, თუნდაც დიდებული, ოღონდ განწირული მატჩი — ეს 80 ათასი ინჩასის გულწრფელი ოვაციები და ტაშისცემა გახლდათ...

ლადო ხომერიკი





ფიგუმ, სად მოჯიო?

„ინტერმა“ და „იუვენტუსმა“ კვირას გამართული „დერბი დელა იტალია“ შეიძლება იტალიურ სასამართლოში გაგრძელონ. მიზეზი: „ინტერის“ პორტუგალიელ ვარსკვლავს ლუიშ ფიგუს მატჩის შემდეგ „იუვენტუსის“ გენერალური დირექტორისთვის, ლუჩანო მოჯისთვის მიუხლია, თამაშის წინ მსაჯის, ჯანლუკა პაპარესტას ოთახში დაგინახესო. სხვა სიტყვებით, ფიგუმ მოჯის მსაჯის მოქრთამვაში დასდო ბრალი, რაზეც მოჯი განრისხდა და ტურინული გუნდის ვებგვერდზე გაჩნდა ასეთი განცხადება:

„ფიგუს ბრალდება სერიოზული, აბსოლუტურად უსაფუძვლო და შეუნიღბავი სიყალბე, რომელიც განსაკუთრებით შემაშფოთებელი იმიტომაა, რომ საერთაშორისო ჟურადღბა აქვს“.

ერთი სიტყვით, ფიგუ პორტუგალიელია და იტალიურ ფეხბურთს შეეხოო.

რომ გაიგო, ჩემს მოთამაშეს შეიძლება სასამართლოში უჩივლონო, „ინტერმა“ გაავრცელა კონტრგანცხადება, სადაც აღნიშნა, რომ ფიგუს ნებისმიერ სასამართლოში დაიცავს და არავის მისცემს სიტყვის თავისუფლებისა და აზრის გამოხატვის შეზღუდვის უფლებას.

ერთი სიტყვით, ფიგუ მოჯიზე რასაც უნდა, იმას იტყვისო.

ამ ისტორიაში საინტერესო ის გახლავთ, რომ, რა მოხდა კვირას „სან სიროს“ გასახდელში, ზუსტად არავინ იცის' თავად კლუბების წარმომადგენლებისა და ფეხბურთელების გარდა, რადგან „ინტერის“ სერბმა მოთამაშემ დეიან სტანკოვიჩმა ჟურნალისტებს კარი მიუკეტა და ერთ ხანს მხარეები ჩაკეტილ სივრცეში მოწშეების გარეშე იყვნენ.

აი, „ინტერის“ მწვრთნელმა რობერტო მანჩინიმ კი გასახდელამდე ვერ მოითმინა, მსაჯს მოედანზევე მიეჭრა და მათი კარის მიმართულებით ტყუილი ჯარიმის დანიშვნაში დასდო ბრალი. ბარემ ესენიც აქ არიანო და, მანჩინიმ გვერდით მიმავალ „იუვეს“ დირექტორებსაც აგინა უშვერი სიტყვებით. აღსანიშნავია, რომ ეს სპეციალისტი თავის წაგებებს მსაჯებს პირველად არ აბრალებს, ეს ჯერ კიდევ „ლაციოს“ მწვრთნელობის დროიდან დასჩემდა და ამის გათვალისწინებით იტალიის ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტმა ორი ათასი ევრო და ერთთამაშიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯა.

დაახლოებით ათასი ევროს გადახდა მოუწევს „იუვენტუსის“ ვიცე-პრეზიდენტს რობერტო ბეტეგას, რომელმაც საპასუხო ცუდი სიტყვების თქმა არ დაიშურა. თამაში კი, შეგახსენებთ, „იუვეს“ გამარჯვებით, 2:1 დასრულდა.

ბაბუნა კედია

ეს უკვე იქ არის



„რომაული დერბის მოგება მინდა. შეგვიძლია, ამ უქმეებზე „ფიორენტინასთან“ 0:7 წავაგოთ, მაგრამ მე უკვე „რომასთან“ მატჩზე ვფიქრობ, რომელიც 26 თებერვალს გველის“ — ამბობს პაოლო დი კანიო. თავადაც კარგად იცით, რა კაცია დი კანიო, ამიტომ ამის შეხსენებით თავს არ შეგაწყენთ.

„პროფესიონალი ვარ, მაგრამ მინდა, ყველამ გამიგოს და ღიად ვაცხადებ — მე უკვე „რომასთან“ მატჩისთვის ვემზადები და მხოლოდ ეს მაღელვებს. ეს ბუნებრივიცაა. მაგალითად, როდესაც „ტრევიზოს“ ხვდები და შემდეგ ტურში „მილანთან“ გიწევს შეხვედრა, შენ უკვე მომავალ დიდ თამაშზე ფიქრობ“ — თქვა კაპიტანმა.

დი კანიოს, ოსმან დაბოსა და ფაბიო ლივერანის დარად, „ლაციოსთან“ კონტრაქტი სეზონის ბოლოს ეწურება. თუმცა, მათგან განსხვავებით, კლუბი და კანიოსთან ახალ შეთანხმებას ალბათ აღარ გააფორმებს. ასე რომ, დიდი შანსია, ეს მისი ბოლო რომაული დერბი იყოს. არადა, გიჟმაჟი თავდამსხმელისთვის დედაქალაქური დერბი ერთ-ერთი მთავარი მოვლენაა და იგი ასეთ მატჩში ყოველთვის გაასმაგებული ენერგიით იბრძვის.

პაოლო დი კანიო: „ზუსტად ნამდვილად ვერ გეტყვით, ვითამაშებთ თუ არა მომავალ სეზონშიც და რამდენი მატჩი დამრჩა კიდევ. კლუბის პოზიცია მესმის. ისინი თვლიან, რომ როგორც ძალიან ბებერი, ველარ გავქაჩავ. ფიზიკურად კარგ ფორმაში ვარ და თამაშიც მწყურია. მიუხედავად ამისა, მწვრთნელი ხშირად სათადარიგოთა სკამზე მტოვებს, მაგრამ ეს მისი გადაწყვეტილებაა და ვერ შევედავებით. ფეხბურთში ტაქტიკასა და ძირითად შემადგენლობას მწვრთნელები არჩევენ, თუმცა იმედს ვიტოვებ, რომ მომავალ მატჩებში მინდორზე გავალ“.

შეგახსენებთ, რომ პირველი წრის რომაული დერბი 1:1 დასრულდა.

კოკი კანდელაკი

ძარცვა 2

ოთახში ორ დალუქულ კონვერტს შემოიტანეს

ლუჩანო სპალეტი

„ლუჩანო სპალეტი დიდი მწვრთნელია“ — თქვა „იუვენტუსის“ აღმასრულებელმა შეფმა ანტონიო ჯირაუდომ.

„ლუჩანო სპალეტი პატიოსანი ადამიანია. როგორც მწვრთნელი, ის ძალიან ჰგავს ფაბიო კაპელოს, ოღონდ ტაქტიკას კაპელოზე მეტად აქცევს ყურადღებას. ის საგანგებო სერიოზულობით უდგება ვარჯიშებს და ფეხბურთელისგან ასპროცენტიან გარჯას ითხოვს“ — თქვა „რომას“ ბრაზილიელმა ფეხბურთელმა ამანტინო მანსინიმ.

ლუჩანო სპალეტი „რომას“ მწვრთნელია. წინა სეზონში მან „უდინეზე“ გაიყვანა ჩემპიონთა ლიგაში, თავად კი დედაქალაქს მიაშურა და დღეს ზედიზედ ბოლო ცხრა შეხვედრაში გამარჯვებული „ჯალორონი“ უკვე მეხუთე ადგილზე რომ არის, მისი დამსახურებაა. მასზე მანსინის გარდა აღმატებულ ხარისხში ლაპარაკობენ „რომას“ სხვა მოთამაშეებიც, მაგალითად, ფრანჩესკო ტოტი და სიმონე პეროტა. მასზე ამბობენ, რომ იგი მარჩელო ლიპის პროტეჟეა და თავადაც მისი თაყვანისმცემელი გახლავთ...

მაგრამ რატომ ატყდა ამხელა ამბავი სპალეტის გარშემო? იმიტომ, რომ ტელეარხ „სკაი იტალიაზე“ გამოსვლისას „იუვეს“ ზემოხსენებულმა დირექტორმა ჯირაუდომ ასეთი სიტყვები ბრძანა:

„მას დიდი ხანია ვაკვირდებით და მისი პროგრესის თითოეული დღე კარგად ვიცით. ასე გავაგრძელებთ მომავალშიც. ჩვენ გვწამს, რომ სპალეტი ერთ-ერთი საუკეთესოა არა მხოლოდ იტალიაში, არამედ საერთაშორისო ასპარეზზეც“.

და, რას ნიშნავს ყველაფერი ეს? იმას, რომ „იუვენტუსს“ 2007 წლის ზაფხულში მწვრთნელის შეცვლა რომ დასჭირდება, სპალეტის მიაკითხავს. მოგეხსენებათ, ახლა „ბებერ ქალბატონს“ ფაბიო კაპელო ხელმძღვანელობს, რომელიც ტურინის კლუბმა ასევე „რომადან“ წამოიყვანა.

„რომას“ ხელმეორედ გაძარცვის გამჟღავნებულმა გეგმამ იტალიურ პრესაში მითქმა-მოთქმა გამოიწვია. კომენტარი სთხოვეს თავად სპალეტისაც, რომელმაც უპასუხა ის, რაც უნდა ეპასუხა:

„რომში თავს ჩინებულად ვგრძნობ და მომავალშიც აქ მინდა დარჩენა.“

მაგრამ 2007 წელი ჯერ შორსაა. მანამდე „იუვენტუსს“ ერთი საინტერესო სატრანსფერო დუელის მოგება აქვს განზრახული, კერძოდ კი, აი, რის: „ფიორენტინას“ ჰყავს 24 წლის მოთამაშე მანუელ პასკუალი, რომელიც დიდად არგია და რომლის გაყიდვას არ ფიქრობს, მაგრამ ვითარებას ბოლომდე ვერ აკონტროლებს, რადგან ეს პასკუალი სანახევროდ „არეცოს“ საკუთრებაა. „არეცო“ სერია B-ს გუნდია, რომელსაც „იუვენტუსი“ მიადგა, შენი წილი 50 პროცენტი მომყიდეო. „იუვე“, სავარაუდოდ, „არეცოს“ მოსაწონ თანხას რომელიმე ჯიბეში მოჩხრიკავს და გამოვა კიდეც, რის შემდეგაც... საქმე, როგორც აქედან ჩანს, ეგრეთ წოდებულ ბრმა აუქციონს გაღაეცემა ანუ „ფიორენტინაცა“ და „იუვენტუსიც“ დახლზე დადებენ დალუქულ კონვერტს, რომელშიც თანხა ეწერება...

ბაბუნა კედია

მანსანომ ჩაძირული კუნძული უნდა ამოწიოს



ექტორ რაულ კუპერის მიერ მიტოვებული „მალიორკა“ თითქოს ტომი ლომპერს უნდა გაეწვრთნა — ორი დღის წინ კუნძულელთა კლუბის პრეზიდენტმა „წითლების“ სათავეში სწორედ იგი დაასახელა — თუმც გუშინ „სან მოისის“ უფროსებმა გადაიფიქრეს და ცნობილი ესპანელი მწვრთნელი გრეგორიო მანსანო მიიყვანეს. „მოხარული ვარ, რომ ისევ „მალიორკაში“ დავბრუნდი. ახლა გუნდი კრიზისშია და ამ სირთულის დასაძლევად ერთად უნდა ვიბრძოლოთ“ — განუცხადა მანსანომ მედიას. სენიორ გრეგორიო პალმერელთა გუნდს ადრეც თავკაცობდა, ახლა კი პრიმერადივიზიონის აუტსაიდერთან ორსეზონიანი კონტრაქტი გააფორმა (თუ, რა თქმა უნდა, „მალიორკა“ წლეულს პრიმერაში დარჩა). მანსანოს პირველი გამოცდა კვირას, „მალაგასთან“ ჯახში მოელის, გუნდთან, რომლის დამრიგებელიც ადრე თავად გახლდათ. „მალიორკა“ კი ჯერჯერობით 19 ქულით ჩემპიონატის ცხრილის ბოლო ადგილზეა გაჭედილი.

ლადო ხომერიკი

მაგათი კლინსმანს მახათზე მიანიშნებს

ეს ინტერვიუ მიუნხენის „ბაიერნის“ მწვრთნელს ფელიქს მაგათს „ბილდმა“ ჩამოართვა. ინტერვიუდან კი ვიგებთ, რომ მაგათი რკინის ნერვებიანი კაცი ყოფილა, რომელსაც ვერც მიხაელ ბალაკის დაკარგვა გაანერვიულებს და ვერც ბუნდესნაკრების მწვრთნელის მოდური რეფორმები



— მიუხედავად იმისა, რომ „ბაიერნი“ ჩემპიონატის ლიდერია, თქვენ მაინც გიყენებენ პრეტენზიებს. ხომ არ თვლით, რომ „ბაიერნისგან“ მეტისმეტს ითხოვენ?

— გერმანიაში „ბაიერნს“ ყოველთვის განსაკუთრებულ მოთხოვნებს უყენებენ და ეს ნორმალურია. სხვა გუნდებთან შედარებით, ჩვენ ყოველთვის მკაცრად გვთხოვენ შედეგს. თუმცა, თავად ჩვენც ჩემპიონობის გარდა სხვა შედეგს წარუმატებლობად აღვიქვამთ, ასე რომ სხვებისგან ამგვარი მოთხოვნები არ უნდა გაგვიკვირდეს.

— რა გირჩევნიათ, 1:0 მოიგოთ თუ 5:2?

— 5:4 რომ გეთქვათ, პასუხის გაცემა უფრო გამიიოლდებოდა. ბევრ გოლს თუ უშვებ, ესე იგი, ძალიან ბევრი შეცდომა დაუშვი. ასეთ შემთხვევაში 1:0 მირჩევნია.

— „ბაიერნი“ გამუდმებით იგებს, ანუ არც ისე მძიმე სამუშაო გაქვთ...

— ეგრე რომ იყოს... განსაკუთრებით ძნელი იმ გუნდში მუშაობაა, რომელიც ბევრს იგებს. ადამიანი ისეა მოწყობილი, რომ წარმატების მიღწევის მერე დასვენება უნდება და იმავე ტემპში მუშაობა ეზარება. აი, სწორედ აქედან იწყება პრობლემები.

— მოიწვიეთ ახალი ფეხბურთელები, ახალი გუნდის შენება დაიწყეთ და სიზარმაცე აღარ შეგაწუხებთ.

— ახალი ფეხბურთელების მოყვანის საკითხი მაშინ იქნება აქტუალური, როცა „ბაიერნიდან“ მიხაელ ბალაკი წავა.

— უკვე ეძებთ ბალაკის შემცვლელს?

— არა, სხვა რამ ვიგულისხმე. ბალაკი-ფეხბურთელის შეცვლა არსებული ძალებითაც შეგვიძლია, მაგრამ ბალაკ-პიროვნების შემცვლელი ამ წუთას არ გვყავს.

— ბალაკის შენარჩუნების იმედი ახლა გაქვთ?

— იმედი კი მაქვს, მაგრამ საქმის ვითარება ისეთია, რომ ზაფხულში ის თავისუფალი აგენტი გახდება. ამიტომ მე ყველაფრისთვის მზად უნდა ვიყო.

— ბალაკის გამო ნერვიულობთ?

— ბალაკის შემცვლელზე კი ვფიქრობ, მაგრამ არ ვნერვიულობ. ნერვიულობის მიზეზს ვერ ვხედავ.

— ბალაკი უცხოეთში თამაშზე ოცნებობს. თქვენ არ გინდათ უცხოეთში მუშაობა?

— კი, მქონდა ასეთი სურვილი. ვფიქრობდი, რომ ამით ჩემი კვალიფიკაცია გაიზრდებოდა.

— ახლა უკვე 52 წლის ხართ...

— მაგით რისი თქმა გინდათ, რომ ველარაფერს ვისწავლი?

— არა, იმის თქმა მინდა, რომ თქვენს ასაკში თქვენი კვალიფიკაციის მწვრთნელი ბუნდესნაკრების მწვრთნელობაზე შეიძლება ფიქრობდეს...

— ამჟამად ეს წარმოუდგენელია, საერთოდ კი, გამორიცხული არაფერია.

— იურგენ კლინსმანის რეფორმებს როგორ უყურებთ?

— თითოეულმა მწვრთნელმა თავად უნდა იცოდეს, როგორ მიაღწიოს წარმატებას. თუმცა ჩვენ ისეთ დროში ვცხოვრობთ, როცა რაღაც ახლის შემოტანა მოდაშია. ხოლო მხოლოდ მოდურობის გამო რაღაცის კეთება, არ ვიცი, რამდენად სწორია.

— კლინსმანის სიახლეებში ფიზმომზადების ამერიკელი მწვრთნელის ჩამოყვანას და მის მეთოდებს გულისხმობთ?

— თუნდაც ამას. „ბაიერნში“ ფეხბურთელებს ძველი მეთოდებით ვავარჯიშებთ და მგონია, რომ ფიზიკურ მომზადებაში არავის ჩამოვრჩებით.

— ვატყობ, რომ კლინსმანი გაღიზიანებთ...

— მე საკმაოდ დიდხანს ვმუშაობ ამ ბიზნესში საიმისოდ, რომ სხვა მწვრთნელების მუშაობის სტილმა არ გამიჩინოს არასრულფასოვნების კომპლექსი.

მაგარი კაცი კაცურად მიდის

შირერმა მილიონს ხელი არ მოჰკიდა

მაისში „ნიუკასლი“ თესთიმონიალს, ჩვენებურად, გამოსათხოვარი მატჩის იერის შეხვედრას გაუმართავს ალან შირერს, რომელიც სეზონის ბოლოს თამაშს ეთხოვება.

შირას ათწლიანი კარიერა ჯორდების გუნდში „სელტიკთან“ მატჩით აღინიშნება. ამ მატჩის შემოსავლად მილიონ გირვანქას ელიან და, თუკი საერთოდ ეს ფული თესთიმონიალის მთავარ გმირს გადაეცემა ხოლმე, ამჯერად შირას სურვილით შემოსავალი ქველმოქმედებას მოხმარდება.

„ბიჭობიდან ვოცნებობდი, მსოფლიოს ყველაზე მოსიყვარულე და ერთგული ფანების წინაშე მეთამაშა, ნაკრებისთვის მეკაპიტნა, გოლები გამეტანა და ტაინის მხარის ლეგენდად ვქცეულიყავი — თქვა შირერმა — ახლა ვამთავრებ და მინდა, გულიანად გამოვეთხოვო ჩემს სტადიონს“.

„ნიუკასლის“ თავკაცობის ვარაუდით, „ნიუკასლ“ — „სელტიკის“ თამაშის საცქერლად „სენტ ჯეიმს პარკისკენ“ მთელი ინგლისიდან დაიძრებიან.

მატჩი 11 მაისს გაიმართება.

ირაკლი გამყრელიძე

მსაჯმა დუბლი მიითვალა

საფრანგეთი

პირველი დივიზიონი

გადადებული მატჩები

ნანტი 1:1 ტრუა

1:0 კესერუ (77), 1:1 ნივე (83პ)

სენტ ეტიენი 0:1 ნიცა

0:1 ბელიონი (37)

ტრუელ ლე კრომს წითელი აუფრიალეს

ფეხბურთში რა არ ხდება, მაგრამ ისეთი საოცარი მატჩი, როგორიც ნანტში გაიმართა, იშვიათია. ერთი შეხედვით, განსაკუთრებული არაფერი, „ნანტმა“ და „ტრუამ“ ქულები გაიყვეს. ვინმეს შეხვედრის პირველი ტაიმის ნახვისას, მეტიც, 75 წუთის განმავლობაში ეგებ სტადიონიდან წასვლის სურვილი გაუჩნდა, რადგან თამაში ბევრით არაფრით გამოირჩეოდა — ერთიორი სახიფათო მომენტი და უთავბოლო იერიშები, მაგრამ...

75-ე წუთზე „ტრუას“ მეკარე რონან ლე კრომი ბოლო იმედის ჯარიმისთვის გააძევეს. სტუმრებს სამივე შეცვლა მოლეული ჰქონდათ და კარში შემტევი ნახევარმცველი ეტისე ენსა იამისი ჩადგა. ახალგამომცხვარმა გოლკიპერმა ოთხი წუთი გოლი არ გაუშვა, მაგრამ ანდრეი კესერუს დარტყმულ ბურთს ველარაფერი მოუხერხა და მასპინძლებმაც თითქოს 3 ქულა გაინაღდეს.

გავიდა კიდევ 4 წუთი და მეტოქის საჯარიმოში შეჭრილი ტრუელი ზიად ჯაზირი „ნანტის“ კარის დარაჯმა მიკაელ ლანდრომ მოცელა. რისთვისაც წითელი ბარათი და პენალტი წყვილად „დაიმსახურა“. ცვლილებათა ლიმიტი მასპინძლებსაც ამოწურული ჰქონდათ და მეკარეობა მათმა მცველმა ნიკოლა სავინომ ითავა. ცხადია, მან თერთმეტმეტრიანის მოგერიება ვერ შეძლო, მაგრამ დარჩენილ წუთებში იყოჩაღა, ისევე, როგორც მისმა ტრუელმა „კოლეგამ“ იამისმა. მართალია, „პირტიტველა“ მეკარეების შემყურე ფეხბურთელები შორიდან დარტყმებს არ ერიდებოდნენ, მაგრამ ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა.

ჩემპიონატის მეორე მატჩში „სენტ ეტიენი“ შინ დამარცხდა „ნიცასთან“. მასპინძლებს არ უშველა იმანაც, რომ აფრიკის თასიდან გუნდს ერთბაშად შვიდი მოთამაშე დაუბრუნდა. შეხვედრის ერთადერთი გოლი დავიდ ბელიონმა ვაირუას შესრულებული ჯარიმის შემდეგად შეაგდო.

გიორგი კაკაბაძე

ლიონი	25	16	8	1	40:16	56
ბორდო	26	13	10	3	24:12	49
ოსერი	26	13	4	9	33:26	43
ლილი	26	11	8	7	34:19	41
პსჟ	26	11	7	8	31:25	40
მარსელი	26	11	7	8	26:27	40
ლე მანი	26	11	6	9	26:19	39
ლანსი	26	8	14	4	33:22	38
მონაკო	25	10	7	8	26:20	37
ნიცა	26	9	9	8	20:21	36
ნანსი	25	10	5	10	26:19	35
ნანტი	26	9	7	10	28:26	34
სენტ ეტიენი	26	8	10	8	23:25	34
ტულუზი	26	9	7	10	25:28	34
რენი	26	10	2	14	25:40	32
ტრუა	26	6	9	11	23:32	27
სოშო	26	6	9	11	19:28	27
აიაჩო	26	4	9	13	16:31	21
სტრასბური	26	2	11	13	18:35	17
მეცი	25	2	9	14	15:40	15

სარბიელი: კროკი

წარმოგიდგენთ

სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ინგლისი. პრემიერლიგა						
		19 თებერვალი						
17:15	495	ტოტენჰემი-უიგანი	1.70	3.40	4.70	1.13	1.24	1.97
		ინგლისი. ჩემპიონატი						
		17 თებერვალი						
23:45	17	ლუტონი-რედინგი	3.40	3.20	2.00	1.64	1.25	1.23
		18 თებერვალი						
19:00	18	მილუოლი-კრისტალ პალასი	3.10	3.20	2.15	1.57	1.26	1.28
19:00	19	ნორვიჩი-დერბი	1.85	3.20	3.95	1.17	1.25	1.76
19:00	20	ვულვერჰემპტონი-იფსვიჩი	2.10	3.20	3.20	1.26	1.26	1.60
19:00	21	უენსდი-შეფილდი	3.00	3.20	2.20	1.54	1.26	1.30
19:00	23	პლიმუთი-ქოვენთრი	2.20	3.20	2.95	1.30	1.26	1.53
19:00	24	ბრაიტონი-უოტფორდი	3.20	3.20	2.10	1.60	1.26	1.26
19:00	25	ლესტერი-ლიდსი	2.70	3.20	2.35	1.46	1.25	1.35
19:00	26	კარდიფი-პალი	1.80	3.20	4.20	1.15	1.25	1.81
		ინგლისი. I ლიგა						
		18 თებერვალი						
19:00	39	პორტ ვეილი-ნოტინგემი	2.15	3.20	3.00	1.28	1.25	1.54
19:00	40	სკანთორპი-სუონსი	2.60	3.20	2.40	1.43	1.24	1.37
19:00	41	ჩესტერფილდი-საუთენდი	2.45	3.20	2.55	1.38	1.24	1.41
19:00	42	სუინდონი-როტერჰემი	1.85	3.20	3.75	1.17	1.23	1.72
19:00	43	ტრანმერი-ბარნსლი	2.30	3.20	2.80	1.33	1.26	1.49
19:00	44	უოლსოლი-ოლდჰემი	2.30	3.20	2.80	1.33	1.26	1.49
19:00	45	დონკასტერი-ჯილინგემი	2.05	3.20	3.20	1.24	1.24	1.60
19:00	46	ჰალიფაქსი-ლინნი	1.55	3.50	5.80	1.07	1.22	2.18
19:00	47	ბორნმუთი-ბლეკპული	1.90	3.20	3.60	1.19	1.24	1.69
19:00	48	ბრედფორდი-ბრისტოლი	2.10	3.20	3.10	1.26	1.25	1.57
		ინგლისი. II ლიგა						
		17 თებერვალი						
23:45	63	ნორთჰემპტონი-ტორკი	1.55	3.50	5.50	1.07	1.20	2.13
		18 თებერვალი						
19:00	64	მენსფილდი-რექსჰემი	2.35	3.20	2.65	1.35	1.24	1.44
19:00	65	მაკლესფილდი-ლინკოლნი	2.30	3.20	2.70	1.33	1.24	1.46
19:00	66	ბოსტონი-უიკომბი	2.50	3.20	2.55	1.40	1.26	1.41
19:00	67	ნოტსი-პიტერბრო	2.30	3.20	2.70	1.33	1.24	1.46
19:00	68	ოქსფორდი-წელტენჰემი	2.55	3.20	2.45	1.41	1.24	1.38
19:00	69	როჩდეილი-გრიმსბი	2.80	3.20	2.25	1.49	1.24	1.32
19:00	70	კარლაილი-რაშდენი	1.55	3.50	5.50	1.07	1.20	2.13
19:00	71	ბერი-ბარნეტი	2.20	3.20	2.85	1.30	1.24	1.50
19:00	72	დარლინგტონი-შრიუსბერი	1.80	3.20	4.00	1.15	1.24	1.77
19:00	73	წესტერი-ლეიტონი	2.85	3.20	2.15	1.50	1.22	1.28
19:00	74	რიუერსი-სტოკპორტი	1.75	3.20	4.40	1.13	1.25	1.85
		ინგლისი. კონფერენსი						
		17 თებერვალი						
23:45	83	გრეიუესენდი-ერინგტონი	2.90	3.30	2.15	1.54	1.23	1.30
		18 თებერვალი						
19:00	75	ტემფორთი-კიდერმინსტერი	2.35	3.20	2.60	1.35	1.23	1.43
19:00	76	ქრიუელი-ალტრინჩემი	2.40	3.20	2.55	1.37	1.23	1.41
19:00	77	კემბრიჯი-საუთპორტი	1.75	3.40	3.80	1.15	1.19	1.79
19:00	78	ექსეტერი-იორკი	1.85	3.30	3.60	1.18	1.22	1.72
19:00	79	ჰალიფაქსი-გრეთნი	2.25	3.30	2.75	1.33	1.23	1.50
19:00	80	სკარბოროო-უეკინგი	2.55	3.20	2.40	1.41	1.23	1.37
19:00	81	მორეკამბი-ფორსტ გრინი	1.55	3.50	5.30	1.07	1.19	2.10
19:00	82	დაგ ენდ რედი-სტევენეიჯი	2.40	3.20	2.55	1.37	1.23	1.41
19:00	84	კონვი-პერეფორდი	3.00	3.30	2.10	1.57	1.23	1.28
19:00	85	ალდერშოტი-ბარტონი	2.25	3.30	2.70	1.33	1.22	1.48
		შოტლანდია. პრემიერლიგა						
		18 თებერვალი						
19:00	87	რეინჯერსი-პიბერნიანი	1.55	3.60	5.20	1.08	1.19	2.12
19:00	88	დანდი იუნაიტედი-ინვერნესი	2.45	2.90	2.85	1.32	1.31	1.43
19:00	89	ჰარტსი-მაზერუელი	1.55	3.40	5.50	1.06	1.20	2.10
19:00	91	კილმარნოკი-ლივინგსტონი	1.40	4.00	6.50	1.03	1.15	2.47
19:00	93	აბერდინი-ფოლკირკი	1.70	3.50	4.20	1.14	1.21	1.90
		19 თებერვალი						
18:00	94	დანფერმლაინი-სელტიკი	8.50	4.60	1.25	2.98	1.08	1.00
		შოტლანდია. I დივიზიონი						
		18 თებერვალი						
19:00	96	ერდრი-როსი	2.65	3.20	2.30	1.44	1.23	1.33
19:00	97	კლაიდი-დანდი	2.20	3.20	2.80	1.30	1.23	1.49
19:00	98	ჰამილტონი-სტ.ჯონსტონი	2.50	3.20	2.45	1.40	1.23	1.38
19:00	99	ქუინი-ბრეჩინი	1.80	3.20	3.80	1.15	1.22	1.73
19:00	100	სტ.მირენი-სტრანრაერი	1.40	4.00	6.00	1.03	1.13	2.40

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		შოტლანდია. II დივიზიონი						
		18 თებერვალი						
19:00	101	სტირლინგი-მორტონი	2.65	3.30	2.20	1.46	1.20	1.32
19:00	102	რეითი-გრეტნა	6.50	4.20	1.35	2.55	1.11	1.02
19:00	103	დამბარტონი-ალლოა	1.75	3.40	3.70	1.15	1.18	1.77
19:00	104	ფორფარი-ყარი	2.30	3.30	2.55	1.35	1.20	1.43
19:00	105	პიტერჰედი-პარტიკი	2.35	3.20	2.55	1.35	1.22	1.41
		შოტლანდია. III დივიზიონი						
		18 თებერვალი						
19:00	106	კოუდენბეთი-ქეინს პარკი	1.85	3.30	3.50	1.18	1.21	1.69
19:00	107	არბროთი-ისტ ფაიფი	1.65	3.40	4.40	1.11	1.20	1.91
19:00	108	ბერიკი-ისტ სტირლინგი	1.35	4.30	6.50	1.02	1.11	2.58
19:00	109	მონტროზუსი-ალბიონი	2.15	3.30	2.75	1.30	1.20	1.50
19:00	110	სტენჰაუსმერი-ელგინი	1.45	4.00	5.20	1.06	1.13	2.26
		გერმანია. I ბუნდესლიგა						
		18 თებერვალი						
18:30	111	მიონხენგლადბახი-კიოლნი	1.75	3.40	4.30	1.15	1.24	1.89
18:30	112	ნიურნბერგი-ვოლფსბურგი	2.15	3.20	3.20	1.28	1.28	1.60
18:30	113	კაისერსლაუტერნი-არმინია	2.15	3.30	3.10	1.30	1.26	1.59
18:30	114	ჰერტა-შალკე	2.55	3.20	2.60	1.41	1.28	1.43
18:30	115	ჰანოვერი-ბაიერნი	4.80	3.40	1.70	1.99	1.25	1.13
18:30	116	ჰანოვერი-ბაიერნი 1:0	1.95	3.30	2.90			
18:30	117	ლეკერკუზენი-დუისბურგი	1.55	3.60	5.60	1.08	1.21	2.19
18:30	118	დორტმუნდი-ვერდერი	2.60	3.20	2.55	1.43	1.28	1.41
		19 თებერვალი						
20:30	120	აინტრახტი-ჰამბურგი	2.75	3.30	2.35	1.50	1.26	1.37
20:30	122	შტუტგარტი-მაინცი	1.60	3.60	5.30	1.10	1.22	2.14
20:30	123	შტუტგარტი-მაინცი 0:1	2.65	3.40	2.10			
		ავსტრია. ბუნდესლიგა						
		18 თებერვალი						
21:30	153	შტურმი-გრაცერი	3.10	3.00	2.15	1.52	1.26	1.25
21:30	154	ტიროლი-ავსტრია	3.60	3.20	1.90	1.69	1.24	1.19
21:30	156	რაპიდი-მატერსბურგი	1.40	3.90	6.80	1.03	1.16	2.47
21:30	157	აღმირა-რიდი	2.65	3.10	2.40	1.42	1.25	1.35
		19 თებერვალი						
18:30	152	პაშინგი-ზალცბურგი	2.90	3.10	2.20	1.49	1.25	1.28
		შვეიცარია. სუპერლიგა						
		19 თებერვალი						
17:30	158	გრასჰოპერი-ქსამაქსი	1.50	3.70	5.50	1.06	1.17	2.21
17:30	160	სტ.გალენი-აარაუ	1.75	3.30	4.20	1.14	1.23	1.84
17:30	162	ივერდონი-ციურიხი	2.90	3.30	2.15	1.54	1.23	1.30
19:00	163	ბაზელი-შაფჰაუზენი	1.25	5.00	9.00	1.00	1.09	3.21
19:15	165	ოუნი-იანგ ბოიზი	2.35	3.30	2.60	1.37	1.23	1.45
		იტალია. სერია A						
		18 თებერვალი						
21:00	175	მესინა-იუვენტუსი	6.80	3.10	1.60	2.12	1.29	1.05
21:00	176	მესინა-იუვენტუსი 1:0	2.10	3.30	2.60			
21:00	177	ლიეორნო-ინტერი	3.75	3.10	2.00	1.69	1.30	1.21
23:30	178	მილანი-კალიარი	1.20	5.20	13.00	1.00	1.09	3.71
23:30	179	მილანი-კალიარი 0:1	1.55	3.80	3.90			
		19 თებერვალი						
18:00	180	რომა-ემპოლი	1.30	4.20	11.00	1.00	1.16	3.03
18:00	181	რომა-ემპოლი 0:1	1.85	3.50	3.00			
18:00	182	სამპდორია-ასკოლი	1.65	3.00	6.00	1.06	1.29	2.00
18:00	183	ტრევიზო-პარმა	2.50	2.90	2.90	1.34	1.34	1.45
18:00	184	უდინეზე-სიენა	1.90	2.90	4.50	1.14	1.33	1.76
18:00	185	ლეჩე-ბოლონია	2.30	3.00	3.10	1.30	1.32	1.52
18:00	186	ფიორენტინა-ლაციო	1.65	3.20	5.70	1.08	1.27	2.04
18:00	187	კიეტი-პალერმო	2.30	2.80	3.35	1.26	1.36	1.52
		ესპანეთი. I დივიზიონი						
		18 თებერვალი						
23:00	212	რეალი-ალაესი	1.25	5.00	11.00	1.00	1.12	3.43
21:00	214	ვილიარეალი-ესპანიოლი	1.75	3.30	4.70	1.14	1.27	1.93
23:45	215	სევილია-სელტა	1.90	3.20	3.90	1.19	1.27	1.75
21:00	221	ბარსელონა-ბეტისი	1.25	5.00	11.00	1.00	1.12	3.43
		19 თებერვალი						
20:00	209	კადისი-ოსასუნა	2.65	3.10	2.55	1.42	1.29	1.39
22:00	211	მალაგა-მალიორკა	2.10	3.20	3.35	1.26	1.29	1.63
22:00	216	ხეხიუდადი-ვალენსია	3.20	3.20	2.15	1.60	1.28	1.28
20:00	218	რასინგი-ბილბაო	2.10	3.10	3.35	1.25	1.29	1.61
23:45	219	ხეტაფე-ატლეტიკო	2.50	3.10	2.65	1.38	1.28	1.42
20:00	220	დეპორტივო-სარაგოსა	2.00	3.20	3.50	1.23	1.27	1.67

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დაგაზუსტეთ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		საფრანგეთი. I დივიზიონი						
		17 თებერვალი						
23:45	234	ლიონი-ნანტი	1.40	3.70	7.50	1.01	1.17	2.47
		18 თებერვალი						
20:15	235	ნიცა-მონაკო	2.45	2.90	2.85	1.32	1.31	1.43
23:00	236	პუჭლე მინი	1.65	3.40	4.90	1.11	1.23	2.00
23:00	237	რენი-ლანსი	2.35	2.80	3.10	1.27	1.33	1.47
23:00	238	სოშო-ოსერი	2.65	2.80	2.70	1.36	1.33	1.37
23:00	239	სტ-ეტიენი-ლილი	2.35	2.80	3.00	1.27	1.31	1.44
23:00	240	ტრუა-ნანსი	2.35	2.80	3.00	1.27	1.31	1.44
23:00	241	ტულუზი-სტრასბური	1.80	3.20	4.00	1.15	1.24	1.77
23:00	242	აიაჩიო-ბორდო	3.00	2.90	2.30	1.47	1.30	1.28
		19 თებერვალი						
21:00	243	მეცი-პარიზელი	2.90	3.10	2.15	1.49	1.23	1.26
		ბელგია. I დივიზიონი						
		17 თებერვალი						
23:30	254	ანდერლეხტი-ბრიუსელი	1.35	4.50	7.50	1.03	1.14	2.81
		18 თებერვალი						
21:00	256	ვარეგემი-გენტი	2.30	3.20	2.85	1.33	1.27	1.50
23:00	257	გენტ-მეხელენი	1.65	3.50	4.80	1.12	1.22	2.02
23:00	258	ლოკერენი-სტ-ტრუიდენი	1.70	3.30	4.60	1.12	1.24	1.92
23:00	259	ვესტერლო-რუსელარე	1.75	3.20	4.30	1.13	1.24	1.83
23:00	260	სტანდარდი-სერელი	1.30	4.50	7.50	1.00	1.10	2.81
23:00	261	შარლეროა-ლიერსი	1.50	3.60	5.80	1.05	1.19	2.22
		19 თებერვალი						
21:00	262	ბრიუგე-ბეკერენი	1.20	5.50	10.00	1.00	1.07	3.54
23:30	264	ლუკიე-ბერხოტი	2.40	3.20	2.70	1.37	1.27	1.46
		ჰოლანდია. I დივიზიონი						
		17 თებერვალი						
23:30	274	ნაიმეგენი-ტვენტე	1.75	3.40	4.00	1.15	1.21	1.83
23:30	278	ვიტესი-პსვ	4.00	3.40	1.75	1.83	1.21	1.15
		18 თებერვალი						
22:30	276	როტერდამი-ჰერენვენი	2.25	3.20	2.85	1.32	1.25	1.50
22:30	277	გრონინგენი-ვალვაიკი	1.70	3.40	4.30	1.13	1.21	1.89
		19 თებერვალი						
15:30	280	ფეიენოორდი-სპარტა	1.25	5.00	9.00	1.00	1.09	3.21
15:30	282	ალკმაარი-უტრეხტი	1.50	3.70	5.80	1.06	1.19	2.25
17:30	283	აიაქსი-როზენდალი	1.12	7.00	15.00	1.00	1.04	4.77
17:30	284	ტილბურგი-ბრედა	2.30	3.30	2.75	1.35	1.25	1.50
17:30	285	ჰერაკლესი-დენ ჰაგი	1.90	3.30	3.65	1.20	1.24	1.73
		ჰოლანდია. II დივიზიონი						
		17 თებერვალი						
23:00	289	ემენი-ოსი	1.65	3.40	4.60	1.11	1.21	1.95
23:00	290	ვენლო-ჰაასტრიხტი	1.60	3.50	4.80	1.09	1.20	2.02
23:00	291	აპელდორნი-ეინდჰოვენი	1.60	3.50	4.80	1.09	1.20	2.02
23:00	292	დენ ბოსი-ვ�ენდაში	1.70	3.50	4.20	1.14	1.21	1.90
23:00	293	კამბური-სვოლე	2.55	3.20	2.45	1.41	1.24	1.38
23:00	294	სიტარდი-ჰაარლემი	3.70	3.40	1.80	1.77	1.21	1.17
23:00	295	ექსელსიორი-ლეოვარდენი	1.45	3.80	6.00	1.04	1.16	2.32
23:00	296	ჰელმონდი-ალმერე	1.50	3.60	5.50	1.05	1.17	2.17
23:00	297	ტელსტარი-გრაფსხაპი	2.45	3.20	2.55	1.38	1.24	1.41
23:00	298	იგლუი-ვოლენდამი	2.90	3.20	2.20	1.52	1.25	1.30
		პორტუგალია. სუპერლიგა						
		17 თებერვალი						
23:45	305	ბეიროშტა-რიუ ავე	1.55	3.60	5.30	1.08	1.19	2.14
		18 თებერვალი						
22:00	307	გიმარაეში-ბენფიკა	3.70	3.30	1.90	1.74	1.25	1.20
23:45	310	სპორტინგი-ფერეირა	1.30	4.60	8.00	1.01	1.11	2.92
		19 თებერვალი						
20:00	301	ნავალი-ბრაგა	2.90	3.20	2.25	1.52	1.26	1.32
20:00	302	პენაფიელი-ნასიონალი	3.50	3.20	1.95	1.67	1.25	1.21
20:00	304	აშალეირა-ბელენენსეში	2.00	3.20	3.35	1.23	1.25	1.63
20:00	306	ჟილ ვიცენტე-ეგალეშიგა	2.05	3.20	3.30	1.24	1.26	1.62
22:30	312	პორტუ-ბარიტეიშუ	1.30	4.60	8.00	1.01	1.11	2.92

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		20 თებერვალი						
23:45	309	ლეირია-ხეტუბალი	1.80	3.20	3.80	1.15	1.22	1.73
		საბერძნეთი						
		19 თებერვალი						
17:00	323	იონიკოსი-ეგრეტეოსი	1.45	3.80	6.50	1.04	1.18	2.39
17:00	324	პანათინაიკოსი-კალითეა	1.10	7.00	14.00	1.00	1.01	4.66
17:00	327	ოფი-ეგალეო	2.15	2.90	3.30	1.23	1.30	1.54
17:00	328	ოლიმპიაკოსი-აეკ	1.85	3.20	3.75	1.17	1.23	1.72
17:00	329	კალამარია-ირაკლისი	2.60	2.90	2.55	1.37	1.28	1.35
17:00	330	ოლიმპია-პაოკ	2.40	2.90	2.80	1.31	1.29	1.42
17:00	331	ქანია-აეროპეტოსი	1.85	3.20	3.70	1.17	1.23	1.71
		თურქეთი						
		17 თებერვალი						
22:00	332	ბეშიქთაში-რიზე	1.35	4.30	7.00	1.02	1.13	2.66
		18 თებერვალი						
21:00	334	ანკარა-ყაისერბაჩე	5.00	3.60	1.55	2.09	1.18	1.08
		19 თებერვალი						
16:00	336	კაისერი-დიარბაქირი	1.65	3.50	4.50	1.12	1.20	1.96
16:00	338	ქანისა-სამსუნი	1.80	3.40	3.80	1.17	1.22	1.79
16:00	339	შალთეა-ერეიესი	2.10	3.20	3.20	1.26	1.26	1.60
16:00	340	კონია-გენსლერბირლიგი	2.20	3.20	3.00	1.30	1.26	1.54
16:00	341	ანკარაგუჯუ-ლენიხლი	2.05	3.20	3.30	1.24	1.26	1.62
18:00	342	გზიანთეფი-ტრაბზონი	2.75	3.20	2.25	1.47	1.23	1.32
21:00	343	სივასპორი-გალათასარაი	4.30	3.30	1.75	1.86	1.24	1.14
		ჩეხეთი						
		18 თებერვალი						
20:00	344	სლოვაკეთ-ზლინი	1.70	3.30	4.50	1.12	1.23	1.90
20:00	345	ბანიკი-ოსტრი	1.70	3.30	4.40	1.12	1.22	1.88
20:00	346	სპარტა-ლიბერეცი	1.60	3.40	5.20	1.08	1.22	2.05
		19 თებერვალი						
18:00	348	იაბლონეცი-სლავია	2.60	2.90	2.60	1.37	1.29	1.37
18:00	349	ბლუნინი-ბოლეესლავი	2.65	3.00	2.45	1.40	1.27	1.34
20:00	350	ტეპლიცე-პრეიბრამი	1.65	3.40	4.50	1.11	1.20	1.93
20:00	351	სიგმა-ოლომენი	1.70	3.30	4.50	1.12	1.23	1.90
20:00	352	იპლავა-ბრნო	2.65	3.00	2.45	1.40	1.27	1.34
		უეფას თასი						
		16 თებერვალი						
21:30	409	თუნი-ჰამბურგი	3.20	3.20	2.10	1.60	1.26	1.26
23:45	410	შტუტგარტი-მიდლსბრო	1.90	3.20	4.00	1.19	1.28	1.77
23:45	411	სლავია-პალერმო	2.55	3.10	2.60	1.39	1.28	1.41
		ინგლისი. თასი						
		18 თებერვალი						
16:30	567	ლივერპული-მანჩესტერი	2.40	3.10	2.75	1.35	1.28	1.45
19:00	568	ბოლტონი-ვესტ ჰემი	2.05	3.20	3.30	1.24	1.26	1.62
19:00	569	ჩარლტონი-ბრენტფორდი	1.45	3.60	6.50	1.03	1.18	2.31
21:40	571	ნიუკასლი-საუთჰემპტონი	1.35	4.20	8.00	1.02	1.15	2.75
		19 თებერვალი						
18:00	570	პრესტონი-მიდლსბრო	2.45	3.20	2.65	1.38	1.27	1.44
18:00	572	სტოკი-ბირმინგემი	3.10	3.20	2.15	1.57	1.26	1.28
20:00	573	წელსი-კოლჩესტერი	1.10	7.00	15.00	1.00	1.02	4.77
22:30	574	ასტონ ვილა-სიტი	2.30	3.20	2.85	1.33	1.27	1.50
		თურქეთი. თასი. 16 თებერვალი						
22:00	428	ტრაბზონი-ფენერბახჩე	1.50	3.70	5.30	1.06	1.16	2.17
		როიალ ლიგა						
		16 თებერვალი						
23:35	440	იურგორდენი-ლინი	1.85	3.30	3.65	1.18	1.22	1.73
23:35	441	მიდტიულანდი-სტარტი	1.70	3.40	4.20	1.13	1.21	1.87
23:35	442	ვოლერენგა-ჰაძარბი	1.85	3.20	3.80	1.17	1.24	1.73
23:35	443	ოლბორგი-გიოტებორგი	2.25	3.20	2.75	1.32	1.23	1.47
23:35	444	კოპენჰაგენი-კალმარი	1.55	3.50	5.50	1.07	1.20	2.13
23:35	445	ლილესტრიომი-ბრეინდბიუ	2.25	3.20	2.70	1.32	1.22	1.46
		ლიბერტადორესის თასი. 16 თებერვალი						
23:45	452	მარაკაიბო-ინტერნასიონალი	2.60	3.20	2.35	1.43	1.23	1.35
23:45	453	ლიბერტადი-რივერ პლეიტი	2.75	3.20	2.20	1.47	1.22	1.30

ეროვნული ბიბლიოთეკა

I ტაიმის შედეგი

		1	X	2	1-X	1-2	X-2
10409	თუნი-ჰამბურგი	3.70	2.00	2.55	1.29	1.50	1.12
10410	შტუტგარტი-მიდლსბრო	2.30	2.00	4.30	1.06	1.49	1.36
10411	სლავია-პალერმო	3.00	2.00	2.90	1.20	1.47	1.18

1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო

		1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
11409	თუნი-ჰამბურგი	4.80	10.00	20.00	5.50	4.40	4.20	20.00	10.00	3.10
11410	შტუტგარტი-მიდლსბრო	2.90	10.00	20.00	3.80	4.40	6.50	20.00	10.00	5.50
11411	სლავია-პალერმო	3.80	10.00	20.00	4.60	4.40	4.60	20.00	10.00	3.80

რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

12409	თუნი-ჰამბურგი	1.70	1.90
12410	შტუტგარტი-მიდლსბრო	1.70	1.90
12411	სლავია-პალერმო	1.70	1.90

გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო კი/არა)

13409	თუნი-ჰამბურგი	1.70	1.90
13410	შტუტგარტი-მიდლსბრო	1.70	1.90
13411	სლავია-პალერმო	1.70	1.90

რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე შალი დაბრუნდა ჩაითვლება)

14409	თუნი-ჰამბურგი	2.10	1.70
14410	შტუტგარტი-მიდლსბრო	1.65	2.20
14411	სლავია-პალერმო	1.90	1.90

რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

		I-ში	თანაბრად	II-ში
15409	თუნი-ჰამბურგი	3.00	2.80	2.00
15410	შტუტგარტი-მიდლსბრო	3.00	2.80	2.00
15411	სლავია-პალერმო	3.00	2.80	2.00

ფრეს გარეშე (ძირ დრო)

16409	თუნი-ჰამბურგი	2.30	1.45
16410	შტუტგარტი-მიდლსბრო	1.33	2.50
16411	სლავია-პალერმო	1.80	1.80

გოლი:ფეხილი-10უ კენტი-2. (0:0 ითვლება ფეხილად)

17409	თუნი-ჰამბურგი	1.85	1.95
17410	შტუტგარტი-მიდლსბრო	1.85	1.95
17411	სლავია-პალერმო	1.85	1.95

შემდეგ ეტაპზე გასვლა

18409	თუნი-ჰამბურგი	3.30	1.25	18410	შტუტგარტი-მიდლსბრო	1.80	1.80	18411	სლავია-პალერმო	2.90	1.35

საქართველოს ჩემპიონატი

15 თებერვალი. ვერის ბაღი

მაკაბი 100:96 ძუთაისი

ძირითადი დრო: 87:87

21:20 22:25 22:25 22:17 13:9

მაკაბი: გ. დოლიძე (22), კორკოტაძე (12), ვაშაკიძე (21), აბულაძე (16), გ. შერმადინი (23); ს. შერმადინი (4), აკოლაშვილი (2), ფიცხელაური

ძუთაისი: გ. ლოსაბერიძე (2), ნარსია (23), პირტახია (14), ცერცვაძე (6), კოლუაშვილი (42); ლ. შანიძე (9), ნიჟარაძე

მსაჯები: მაკა კუპატაძე, ხათუნა გაბედავა

კომისარი: თენგიზ ქიქოძე

თსუ-ნიკორა 86:81 დინამო

21:26 22:24 21:16 22:15

თსუ-ნიკორა: მარხვაშვილი (10), ლეჟავა (12), საყვარელიძე (13). ტყეშელაშვილი (4), სანიკიძე (2); ი. ბერიშვილი (26), მუშკუდიანი (11), დიდია (4), ფანჩულიძე (4), ი. მაისურაძე, ვეფხვაძე

დინამო: გულისაბედაშვილი, ვ. მაისურაძე (14), ბადრიძე (12), ლაფანაშვილი (20), სუხიშვილი (16); წივწივაძე (10), დერიუგინი (3), ძიძიგური (2), გვიმრაძე (4)

მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი

კომისარი: როლანდ ხომერიკი

სტუ 118:74 სსუ

15 თებერვალი. რუსთავი

აზოტი 74:58 ავიამშენი

21:11 15:14 20:17 18:16

აზოტი: არწივიძე (2), გოგობერიშვილი (10), ჭოჭუა (20), ბაბიაშვილი (7), იმნაძე (9); ულენტი (17), ტუჯანი (5), ჩაჩუა (3), ბოისა (1), ლიპარტელიანი, დანელიანი

დინამო: ბ. ბერიშვილი (2), ხოშტარია (26), მარკოიშვილი (2), ორმოცაძე (9), როდუმტა (2); წოწელია (5), მინაშვილი (5), ნიკოლაძე (3), ბ. ნოზაძე (2), ნინიაშვილი (2), ნ. ნოზაძე

მსაჯები: ზაზა მაჩლაძე, დავით ბერეკაშვილი, დავით არეშიძე

კომისარი როლანდ გელოვანი

თავდაყირა ტური

თსუ-მ უსტიაშვილს გამოცდა მოუწყო

დავით უსტიაშვილმა „დინამოს“ ბოლოჯერ უთავკაცა

ზურაბ დოლენჯაშვილის ფოტოები

თსუ-ელი გიორგი მარხვაშვილი

გუშინდელ ტურში ცენტრალურად რუსთაველი „აზოტი“ — „ავიამშენი“ იყო მონათლული, მაგრამ მოვლენები ისე განვითარდა, რომ თბილისურ მატჩებში მეტი ბრძოლა და დაძაბულობა ვიხილეთ.

თავად განსაჯეთ: „აზოტმა“ „ავიამშენი“ ერთი ხელის გაქნევით, 16 ქულით დაამარცხა, თბილისურ მატჩებში კი ერთგან ოვერტაიმი დაფიქსირდა და ერთგანაც გვარიანი ჯახა-ჯუხი ვიხილეთ.

ერთი სიტყვით, თბილისურ მატჩებს მეტი ინტერესი ახლდა და ჩვენც ამაზე გავამახვილეთ ყურადღება. მაშ, ასე, ცხრილის ქვედა ეშელონელების შეხლა გვარიანად დაძაბული გამოდგა — „მაკაბისა“ და „ქუთაისის“ მატჩში გამარჯვებულს გამოვლენას დამატებითი დრო დასჭირდა.

ქუთაისელებთან „მაკაბის“ ჩემპიონატის ბომბარდირი გიორგი შერმადინი დაუბრუნდა, ვინაც წინა ორი შეხვედრა წელკავის გამო გამოტოვა. შერმადინი მაკაბელთათვის დიდი ძალაა, გუშინდელ მატჩშიც დიდად დაეხმარა თავისიანებს, მაგრამ საბოლოოდ ისე გამოვიდა, რომ ჯამლეტ ხუხაშვილის გუნდს სულ სხვა მოთამაშეებმა გაამარჯვებინეს.

შერმადინს გარჯას არავინ უკარგავს, მან 23 ქულა და 9 მოხსნა შეაშველა მაკაბელებს, მაგრამ ძირითადი დროის დასრულებამდე სამიოდ წუთით ადრე ის მოედნიდან პერსონალურების ლიმიტის ამოწურვის გამო გავარდა და ქუთაისელებთან გადამწყვეტმა შეჯახებამაც „მაკაბის“ სხვა მოთამაშეებზე გადაიარა.

თანაბარი გაქანების მეტოქეთა ჯახიც თანაბარი გამოვიდა. ძირითადად იმერლები ლიდერობდნენ, 4-6 ქულით, მაგრამ თავიდანვე ჩანდა, რომ თბილისელები იოლად არ დათმობდნენ ამ მატჩს და როცა გადამწყვეტმა წუთებმა მოატანა, ხუხაშვილის შეგირდებიც ამოქმედნენ.

ზურაბ კორკოტაძემ, რომელიც მთელი სამი მეოთხედი უქულოდ თამაშობდა, დასრულებამდე სამიოდ წუთით ადრე პირველი ტყორცნა, სამქულიანი ჩაადო და „მაკაბიც“ ხანგრძლივი დევნის შემდეგ პირველად დააწინაურა — 77:76.

თამაში ბოლო წუთებიც თანაბრად წარიმართა და წესით, ქუთაისელთა გამარჯვებით უნდა დასრულებულიყო, მაგრამ იმერლებს გვარიანი იაღლიში მოუვიდათ, ბოლო წუთზე მოპოვებული გამარჯვების ტოლფასი უპირატესობა ვერ შეინარჩუნეს და...

საფინალო სირენამდე წუთზე ნაკლები რჩებოდა, „ქუთაისი“ 2 ქულას იგებდა და ბურთსაც ფლობდა. მაგრამ იმერლებმა შეტევაში ბურთი დაკარგეს და გიორგი დოლიძემ წყვილი საჯარიმოთი ანგარიში გააყაიმა.

ქუთაისელებს შესატევად 23 წამი რჩებოდათ, რიხიანადაც შეუტიეს, მაგრამ ფარქვეშ შეჭრილმა გიორგი ლოსაბერიძემ გადამწყვეტი სროლა გააცუდა და თამაშიც ოვერტაიმში გადაიზარდა.

დამატებით დროში „ქუთაისს“ უკეთესი შანსი ჰქონდა, გაემარჯვა, რადგან მანამდე გავარდნილ შერმადინს მაკაბელთა მეორე მეფარე ვანო აბულაძეც მიჰყვა, მაგრამ...

ოვერტაიმშიც თანაბარი ბრძოლა გაჩაღდა. სხვანაირად არც შეიძლებოდა, რადგან ორივე გუნდს ილაჯი გამოცლოდა და ყველაფერი მიზანზე, მოთამაშეთა ჩუბინობაზე იყო დამოკიდებული.

აქაც არ გაუმართლათ ქუთაისელებს — 93:93-ზე მათმა ფორვარდმა მიხეილ ცერცვაძემ მიჯრით ორი საჯარიმო გააცუდა და მომდევნო შეტევაში მაკაბელმა გივი ვაშაკიძემ სამქულიანი მიითვალა, შედეგად სირენამდე წუთით ადრე ხუხაშვილის გუნდი ხუთი ქულით დაწინაურდა.

თითქოს აქვე მოთავდა ქუთაისელთა საქმეც, მაგრამ იმერლებს წარმატების შანსი იმავ ცერცვაძემ გაუჩინა, რომელმაც ჯარიმის თანხლებით ჩააგდო ორქულიანი და მაკაბელთა გაცუდებული შეტევის შემდეგ მასვე მიეცა გათანაბრების ჩინებული შანსი, მაგრამ მაკაბელმა გიორგი დოლიძემ სუფთად დაუფარა და ყველაფერიც აქ დამთავრდა.

ამ ოვერტაიმიანი ჯახის შემდეგაც ლამის დამატებითი დრო დაინიშნა, მაგრამ „თსუ-ნიკორასა“ და „დინამოს“ შეხლა სტუდენტების გამარჯვებით ძირითად დროში დასრულდა.

ამ მატჩის ინტრიგა სულ სხვა გახლდათ. კერძოდ ის, რომ დინამოელთა თავკაცისთვის, დავით უსტიაშვილისთვის ეს მატჩი თავის გუნდში ბოლო გახლდათ და ის გუშინდელი მოწინააღმდეგის ბანაკში გადაბარგდებოდა.

ანუ უთავკაცოდ დარჩენილი „თსუ-ნიკორას“ მთავარი მწვრთნელის ადგილი სწორედ უსტიაშვილმა უნდა დაიკავოს და მომავალ გუნდთან შეხვედრაც ერთგვარი გამოწვევა იყო ამ ახალგაზრდა სპეციალისტისთვის.

ზოგადად რომ ავიღოთ, ამ გუნდებს შორის დიდი ზღვარია, მაგრამ გუშინდელ მატჩში არაფრით ჩანდა ეს განსხვავება. „დინამო“ ისე ყოჩაღად დაუდგა ჩემპიონატის ლიდერ თსუ-ს, რომ მასზე გამარჯვებაც ალალი იყო, მაგრამ...

სირენამდე 20 წამით ადრე ქულით ჩამორჩენილი „დინამოს“ ცენტრმა ლადო სუხიშვილმა ფარქვეშიდან ისეთი ბურთი ააცილა, მანამდე რომ სულ ყველა ჩაეგდო. „სუხოს“ განმეორებითი სროლის შანსიც მიეცა, მაგრამ თავისივე მოხსნილი ბურთი ისევ აუცდა და „თსუ-ნიკორამ“ ლოგიკური, თუმც ძნელი გამარჯვება მიითვალა.

ირაკლი პერტაია

სატურნირო ცხრილი					
თსუ	17	16	1	+238	33
ავიამშენი	17	14	3	+360	31
სტუ	17	11	6	+77	28
აზოტი	16	9	7	+166	25
დინამო	17	7	10	+60	24
მაკაბი	17	5	12	-282	22
სსუ	17	2	15	-429	19
ქუთაისი	16	2	14	-180	18

ქუთაისს დაკლებული აქვს ერთი ქულა

NBA რეგულარული ჩემპიონატი

14 თებერვალი

მაიამი 107:93 ორლანდო

მილუოკი 106:91 სიეტლი

კლიპერსი 97:128 ჰიუსტონი

ჩიკაგო 101:105 საკრამენტო

ძირითადი დრო 90:90

დეტროიტი 85:71 ნიუ ჯერსი

მოწათლეთ ბრაზილიელები ქართულად



რენატო

ეს უკვე იცით: საპლაჟო ფრენბურთში საქართველოს სახელით ითამაშებს ბრაზილიური წყვილი — რენატო და ჟორჟი. საქართველოს ფრენბურთის ფედერაცია გთავაზობთ კონკურსს — დაარქვით ბრაზილიელებს ქართული მეტსახელი.

გამოგვიგზავნეთ თქვენი ვარიანტები, ფრენბურთის ფედერაციის მიერ მონონებული ვერსიის ავტორი დაჯილდოვდება გაქართველებული ბრაზილიელების ავტოგრაფებიანი პეკინის ოლიმპიადის ოფიციალური ბურთით.

ჟორჟი

მოგვმართეთ! ტელეფონი: 93 16 08; ელექტრონული ფოსტა: Starmail@Caucasus.net

ევროპამ საქმე გაგვირჩია

გადასახდელი ფული ფრანგებს მოსთხოვეთ

ევროპის ფრენბურთის ფედერაციიდან გუშინ ჩვენს ფედერაციაში ფაქსი მოვიდა. ევროპელი „მამები“ ქართველებს აუწყებენ, რომ ჯარიმის სახით, მათ 31 მარტამდე შვედებს დამატებით 2500 ევრო უნდა გადაუხადონ. შეგახსენებთ, შარშან, მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი ქალთა შორის, შვედეთი — საქართველო საფრანგეთის საკონსულოს გამო ჩაიშალა. ფრანგულმა დიპლომატიურმა უწყებამ ქართველ ფრენბურთელებს ვიზები არ მისცა. მიზეზი არ დაკონკრეტებულა. ამას რომ დიპლომატიური სკანდალი მოჰყვა, ძველი ამბავია. შვედებმა თავისი მოითხოვეს, ჩაშლილი მატჩის კომპენსაცია 27 ათას ევროდ შეაფასეს და ამ თანხის გადახდა ქართველებს დააკისრეს.

ევროპის ფრენბურთის ფედერაციამ განიხილა საჩივარი და უეჭველი გადასახადი 1000 ევრო ჩვენებს 31 იანვრამდე ჩაარიცხინა თავის ანგარიშზე. გუშინ კი საბოლოოდ გადაწყდა, რომ ქართველები შვედებს 27 ათას ევროს აღარ გადაუხდიან. ეს თანხა 2500 ევრომდე შემცირდა და შვედების ანგარიშზე 31 მარტამდე უნდა დაჯდეს. ყველაზე საინტერესო კი ევროპის ფედერაციიდან მოსული ფაქსის ბოლო აბზაცში წერია. როგორც საქართველოს ფრენბურთის ფედერაციის პრეზიდენმა ლევან ახვლედიანმა გვითხრა, ბოლო აბზაცში მითითებულია, რომ ქართული მხარე მატჩის ჩაშლაში უბრალოა — აქვს უფლება, ეს თანხა საფრანგეთის საელჩოს გადაახდევინოს, მთავარია, 2500 ევრო შვედებმა კომპენსაციის სახით აუცილებლად მიიღონ.

„აუცილებელი გადასახადი 1000 ევრო ჩვენ უკვე გადავიხადეთ, ახლა საბოლოოდ გადაწყდა, რომ 2500 ევროს ჩარიცხვით მორჩება ეს დავიდარაბა. ევროპის ფედერაციის მითითებით, ჩვენ უდანაშაულონი ვართ და შეგვიძლია, ეს ჯარიმა



გადრე ჯღენელაძის ფოტო

ლევან ახვლედიანი ფრანგებს მოსთხოვს

საფრანგეთის საელჩოს გადავახდევინოთ. მეტიც, გვეკითხებიან, რატომ არ ვუჩივით ფრანგულ დიპლომატიურ უწყებას, მაგრამ ამას თანხები და დრო სჭირდება. ჩვენ არც ერთი გვაქვს. ახლა ვაპირებთ, ყველა საბუთი შევაგროვოთ და საფრანგეთის საკონსულოს წარვუდგინოთ. ჩვენ მათგან მოვითხოვთ დარჩენილი თანხის გადახდას“ — გვითხრა გუშინ ლევან ახვლედიანმა.

ერთიც, თუ 31 მარტამდე შვედეთის ფედერაციის ანგარიშზე 2500 ევრო არ იქნა გადარიცხული, საქართველოს ქალთა ნაკრებს ევროშესარჩევი ეტაპიდან მოხსნიან.

ბაჩო სვანიძე

მოჭიდავეები ევრაზიაში გაიფანტნენ

გადრე ჯღენელაძის ფოტო

თამაზ ბენდიაშვილი, ზაზა თურმანიძე და ბეგი დარჩია

გუშინ ვაკის საჭიდაო დარბაზში თავისუფალი და ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრებების მწვრთნელებმა პრესკონფერენცია გამართეს. ზაზა თურმანიძისა და ბეგი დარჩიას გარდა ჟურნალისტებს თავისუფალთა ახალგზარდული ნაკრების მწვრთნელი თამაზ ბენდიაშვილიც შეხვდა. ამ დღეებში საერთაშორისო ტურნირებზე საჭიდაოდ ერთბაშად სამი ქართული გუნდი მიემგზავრება, ამასთან ორივე სტილის ძირითადი ნაკრები ბაკურიანულ შეკრებას იწყებენ.

მწვრთნელთა და ფედერაციის ხელმძღვანელთა ერთობლივი გადაწყვეტილებით, საგაზაფხულო ტურნირების მთავარი დატვირთვა 25-30 აპრილს მოსკოვურ ევროპის ჩემპიონატზე გასამგზავრებელი ნაკრების შემადგენლობის დაკომპლექტებაა.

ახლახან ჩატარებულმა საქართველოს ჩემპიონატმა საევროპე შვიდეულების რამდენიმე წევრი უკვე გამოვლინდა. მათ გამოცდას თურმანიძე და დარჩია ძირითად სამომავლო ტურნირებზე აპირებენ, მანამდე კი რამდენიმე შეკრების გავლას მოასწრებენ. პირველ ორკვირიან შეკრებას თავისუფალთა გუნდი ხვალიდან ბაკურიანში დაიწყებს. ბერძენ-რომაელებიც სამ დღეში გაემგზავრებიან ბაკურიანში.

ვიდრე ნაკრების ლიდერთა და კანდიდატთა ერთი ნაწილი მთაში ივარჯიშებს, დანარჩენები უცხოეთში იჭიდავებენ. 18-19 თებერვალს ირანის ქალაქ სარში თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა მსოფლიოს თასი იმართება. ქართულ გუნდს იქ ბენდიანიშვილი ჩაიყვანს. ირანში იმსჯელებს ქართველი მსაჯი თემურ ყაზარაშვილიც.

„მსოფლიოს თასისთვის ექვსი ნაკრები იბრძოლებს — გვითხრა ზაზა თურმანიძემ — უკვე ცნობილია, რომ საქართველოს ნაკრები ჯგუფში კუბასთან და უკრაინასთან ერთად მოხვდება. მეორე ჯგუფში კი რუსეთი, თურქეთი და ირანი იჭიდავებენ.“

ირანული შემადგენლობა ბენდიანიშვილმა გამოაცხადა და იქვე დასძინა, გუნდში რამდენიმე გამოცდილი მოჭიდავეცაა და ვეცდებით, საპრიზო ადგილზე გავიდეთო. აი ირანული შვიდეულიც: ამირან ელბაქიძე (55 კგ), მალხაზ ზარქუა (60), შალვა მუზიაშვილი (66), ნიკა ტლაშაძე (74), დავით ახალმოსულიშვილი (84), დავით მოძმანიშვილი (96), დავით ოთიაშვილი (120).

17-19 თებერვალს თავისუფალთა საერთაშორისო ტურნირს კიევიც მასპინძლობს. ტურნირის კომისრად ედიშერ მაჩაიძეა მიწვეული. მწვრთნელი მარლენ ოსეყმაშვილი კი იქ სამი მოჭიდავის თანხლებით ჩავა — ზურა მახარაშვილი (60), დავით პოღოსიანი (66), ლერი ქეთიშვილი (84).

ბერძენ-რომაელები ბაკურიანულ შეკრებამდე პარიზულ ხალიჩაზე გასვლას და ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის ახალ ტურნირზე, „ოქროს ლიგაზე“ გამოსვლას მოასწრებენ.

ბეგი დარჩია და ოთარ ტატიშვილი საფრანგეთში თერთმეტ შეგირდთან ერთად გაემგზავრებიან: რევაზ ლაშხი და ირაკლი ჭოჭუა (55), დავით ბედინაძე (60), ალექსანდრე ტაბატაძე და ლაშა ლომაძე (66), მანუჩარ კვირკველია და გენადი გოგიშვილი (74), შალვა გადაბაძე (84), რამაზ ნოზაძე (96), გიორგი ჯობავა და რევაზ ჭელიძე (120).

ბეგი დარჩია: „ოქროს ლიგის“ სახელით წლეულს სამი ტურნირი ჩატარდება. იქ თავგამოჩენილი სპორტსმენები ფინანსურადაც წახალისდებიან. ჩემპიონები 5 ათას დოლარს მიიღებენ, მეორე ადგილზე გასულები — 4 ათასს, ხოლო მესამეები — 3 ათასს.

საფრანგეთის ტურნირს ქართველი მსაჯი გელა ჯანელიძეც მოემსახურება.

ოთარ მაღლაკელიძე

ბორჯღალო დიდ ნავიგაციაში დატრიალდა

რუსნაძლევი საქართველო რუმინეთში უკლებლივ ჩადის

დღეს საქართველოს ნაკრების სამწვრთნელო შტაბი და აქ მოთამაშე ბორჯღალოსნები საფრანგეთში ჩაფრინდებიან და ორლეანის მახლობლად პატარა ქალაქ ბლუაში დაიდებენ ბინას.

ბლუაში საქართველოს ნაკრები 25 თებერვალს, წლევანდელი ევროპის ერთა თასზე უმთავრესი სარუმინეთო ჯახისთვის გაივლის ერთკვირიან შეკრებას. ჩვენებს ეს შეკრება ყოფილმა ბორჯღალოსანმა ზაზა ლეჟავამ გაუხერხა, რომელიც ბლუას სარაგბო კლუბის მწვრთნელია.

საფრანგეთში დღეს ჩასული ქართველები შეკრების ადგილს მიათვალ-მოათვალიერებენ, სამ დღეში კი მათ საფრანგეთის ჩემპიონატის სხვადასხვა დივიზიონებში მოთამაშე ლეგიონერებიც შეუერთდებიან. სარუმინეთო რაზმი იგივეა, რაც რუსეთთან იყო. როგორც ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა მალხაზ ჭეიშვილმა გვითხრა, გამორიცხული არაა, ერთ-ორი ცვლილება შეკრებაზე მოხდეს. ოღონდ ეს რომელიმე მორაგბის ტრავმის გამოო.

ბორჯღალოსანთა 22-კაცა რაზმში მხოლოდ სამი მორაგბეა, საქართველოს ჩემპიონატში რომ თამაშობს — ზვიად მაისურაძე, ბიძინა სამხარაძე და გიორგი შკინინი. დანარჩენები ლეგიონერები არიან. ამათგან სტაჟიანი ბორჯღალოსანი ბესიკ ხამაშურიძე იტალიურ „როვიგოში“ ჩაუქობს, ფლანკერი რატი ურუშაძე — რუსეთში, დანარჩენები კი „ფრანგები“ არიან. სარუმინეთო შემადგენლობა ასეთია:

შერკინება: გოდერძი შველიძე, დავით ზერაქაშვილი (ორივე მონფერანი), აქვსენტი გიორგაძე (კასტრი), ავთო კოპალიანი (მონტობანი), ოთარ კუთარაშვილი, ილია ზედგინიძე (ორივე ექსანპროვანსი), მამუკა გორგაძე (მონპელიე), ლევან დათუნაშვილი (ვიარზონი), გია ლაბაძე (ტულონი), ბესიკ უდესიანი (შალონი), ზვიად მაისურაძე (ლოკომოტივი), რატი ურუშაძე (ენისეი)

უკანა ხაზი: ირაკლი აბუსერიძე (ორლეანი), ბიძინა სამხარაძე (ლოკომოტივი), პალიკო ჯიმშელაძე (ბობინო), ირაკლი გიორგაძე (ბურგუენი), თემურ სოხაძე (ვიარზონი), ირაკლი მაჩხანელი (ბეზიე), ბესიკ ხამაშურიძე (როვიგო), მალხაზ ურჯუკაშვილი (კანი), ოთარ ბარკალაია (ანდორა), გიორგი შკინინი (ხულიგანა)

რუმინეთთან საქართველოს ნაკრები პირველად ითამაშებს ახალი გენსპონსორის „საქავიანავიგაციის“ ლოგოიანი მაისურით. ამასთან დაკავშირებით გუშინ ქართული რაგბის სახლში „საქავიანავიგაციამ“ და რაგბის კავშირმა ოფიციალურად გააფორმეს ერთწლიანი ხელშეკრულება. „ჩვენ ერთი წელი ვატარებდით მონიტორინგს და ბოლო ექსი თვის მანძილზე დავრწმუნდით, რომ ქართული რაგბის დაფინანსება ჩვენთვის საუკეთესო რეკლამაა. წლეულს სხვადასხვა ასაკის ნაკრებებს 20 ქვეყანაში უწევთ ჩასვლა. ჩვენი ლოგო CNN-ზეც გამოჩნდება და BBC-ზეც, რასაც აქამდე ვერ ვახერხებდით. დარწმუნებული ვართ, ბევრი უცხოელ პარტნიორს მოვიზიდავთ. რაც მთავარია, სპონსორების ამბავში არავის ვზღუდავთ. გადაიხადონ ჩვენზე მეტი და დავუთმობთ გენერალური სპონსორის სტატუსს“ — განაცხადა „საქავიანავიგაციის“ გენერალურმა დირექტორმა გიორგი კარბელაშვილმა.

ბაჩო სვანიძე

გადრე ჯღენელაძის ფოტო

მერაბ ანთაძე და გიორგი კარბელაშვილი

ციგაობა ჯანმრთელობისთვის სახიფათო გამხდარა

AFP ტურინიდან

ციგის დედოფალი სილკე ოტო

დედოფალი კვარცხლბეკზე, ბებია საავადმყოფოში

ციგას ერიდეთ, ბავშვებო!

საციგაო სპორტი ზამთრის ოლიმპიური თამაშების ერთ-ერთ ყველაზე სახიფათო სახეობად ითვლება. აქ ძალზე ხშირია სხვადასხვა ტრავმები, მათ შორის უმძიმესიც. ტურინის ოლიმპიადა კი ამ მხრივ მართლაც გამორჩეულია. სპეციალისტები ამბობენ, რომ ციგაობაში ეს ოლიმპიადა სპორტსმენთა დაშავების მხრივ ისტორიული იქნებაო.

პირველსავე დღეს იღბალმა უმტყუნა იტალიის წარმომადგენელს ანასტასია ანტონოვა-ობერშტოლცს, რომელიც ყოფილი რუსია და მსოფლიო თასის გათამაშებაში მეოთხე ადგილზე იმყოფება. ორშაბათს დავარდნის შემდეგ მან შეჯიბრების გაგრძელება ვეღარ შეძლო. ავარიისას ხელი გაიჭრა, რისთვისაც არაერთი ნაკერის დადება გახდა საჭირო.

ანასტასიაზე ნაკლებად გაუმართლა ამერიკელ სამანტა პეტროზის. იგი პირველსავე დაშვებისას ციგიდან გადმოვარდა. საწყალი გოგონა ყინულის ღარში აქეთ-იქით ეხეთქებოდა და გრძნობა დაკარგა. მალე კი მოვიდა გონს, მაგრამ თავგატეხილი აღმოჩნდა. ამას გარდა, დაუშავდა ნიკაპი და მარჯვენა მუხლის ტრავმაც მიიღო. იგი უმალ სასწრაფო დახმარების მანქანით ტურინის ტრავმატოლოგიურ-ორთოპედიულ ცენტრში გააქანეს და დახმარებაც აღმოუჩინეს.

ციგები ამოუყირავდათ და დაშავდნენ უკრაინელი ნატალია იაკუშენკო და პოლონელი ეველინა სტაშულონეკიც, თუმცა მათ უფრო გაუმართლათ — მძიმე ტრავმებს გადაურჩნენ.

ვარჯიშისას დაშავდა „საციგაო სპორტის ბებია“ ანა აბერნატიც. ეს 52 წლის ქალბატონი ვირჯინიის კუნძულების წარმომადგენელია და ტურინში დიდი იმედებით ჩავიდა, მაგრამ იმ დღეს მარჯვენა ხელის მტევანი დაუშავდა და ექიმებმა ციგაზე დაჯდომის უფლება არ მისცეს.

შეჯიბრების მეოთხე ცდაზე, გუშინწინ დაშავდა კანადელი მეგან სიმისტერიც. ეს 19 წლის სპორსტმენი ციგიანად ამოყირავდა, ხელი მძიმედ დაუშავდა და იქაურობა სასწრაფო დახმარების მანქანით მიატოვა.

მეგან სიმისტერის მარცხმა შეჯიბრებაზე ხანგრძლივი პაუზა გამოიწვია, მერე კი პაექროებები კვლავ გაჩაღდა. ყველას აჯობა გერმანელმა „ციგის დედოფალმა“ სილკე ოტომ, რომელიც სოლტ ლეიკ სიტის ზამთრის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონიც გახლავთ ამ სახეობაში.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ გერმანელები ამ სახეობაში იმთავითვე უპირობო ფავორიტებად ითვლებოდნენ. ისევე როგორც სოლტ ლეიკ სიტიში მათ ახლაც საპატიო კვარცხლბეკის სამივე საფეხური შეავსეს. მეორე ადგილზე გავიდა სილკე კრაუზჰარი, ხოლო მესამეზე ტატიანა ჰეფნერი. ამათგან კრაუზჰარი სოლტ ლეიკ სიტის თამაშების ბრინჯაოს პრიზიორია.

ავთანდილ ჯყვიშელი

დაგვიანებული სიამოვნება

ტურინში ჰოკეი ახლა იღვიძებს

მაშინ, როცა ოლიმპიური თამაშების სხვა სახეობების წარმომადგენლები და ჰოკეისტი ქალებიც კი გახურებულ შეჯიბრებაში ჩაბმულან, მათი მამაკაცი კოლეგები მხოლო ახლა ჩადიან იტალიაში, ტურნირის თამაშების ერთ-ერთი უმთავრესი მოვლენა — ჰოკეი 15 თებერვალს იწყება.

ეს უკვე მესამე ოლიმპიადაა, რომელშიც მსოფლიოს საუკეთესო ჰოკეისტები მონაწილეობენ და ტურინში წინა ორზე არანაკლებ საინტერესო და უკომპრომისო ბრძოლაა მოსალოდნელი, მით უმეტეს, რომ 2006 წლის ტურნირს რამდენიმე მნიშვნელოვანი სიახლე განასხვავებს წინამორბედებისაგან. პირველ ყოვლისა, ეს მსაჯობას ეხება. ოლიმპიადების ისტორიაში პირველად ჰოკეის შეჯიბრება ნჰლ-ის წესებით გაიმართება, ეს კი იმას ნიშნავს, რომ მსაჯობა უმკაცრესი. ამიტომაც ბევრი იქნება დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ შეეგუებიან მონაწილეები ახალ მოთხოვნებს.

მეორე მნიშვნელოვანი მომენტი განპირობებულია იმით, რომ შესაძლებელია, ეს ბოლო ნჰლ-ური ოლიმპიადა იყოს. საქმე ისაა, რომ ლიგის კლუბების მფლობელები მაინცდამაინც კმაყოფილები არ არიან იმით, რომ მათი საუკეთესო მოთამაშეები სათამაშოდ ცხრა ზღვის იქით მიდიან, ვინაიდან ძალიან დიდია ტრავმის მიღების ან გართულების რისკი.

მაგალითად, დიდი აჟიოტაჟია ატეხილი პეტერ ფორსბერგის გარშემო. „ფილადელფიის“ და ლიგის ერთ-ერთ საუკეთესო მოთამაშეს ძალიან უნდა, შვედეთის ღირსება დაიცვას, მაგრამ საზარდულის ტრავმა ვერ მოირჩინა და, ცხადია, „მფრინავთა“ მესვეურებს ურჩევნიათ, შვედმა დაისვენოს. ფორსბერგის მონაწილეობის საკითხი ახლა წყდება, ხოლო რამდენიმე ცნობილმა მოთამაშემ უკვე იუარა ტურინში გამგზავრება და აქ აშკარად კლუბების ზეწოლის კვალი ჩანს. ყველაზე მეტად ამის გამო ფინეთის ნაკრები დაზარალდა, რომელიც პრაქტიკულად ძლიერი მეკარის გარეშე დარჩა. რუსებმაც მხოლოდ ბოლო მომენტში დაითნხმეს სანხოსელი ევგენი ნაბოკოვი...

ფავორიტები

როგორც ყოველთვის, მთავარ ფავორიტებად კანადელები ითვლებიან. ჰოკეის დამაარსებლები ბოლო წლებში თითქმის ყველაფერს იგებენ და, ცხადია, არც ტურინულ ოქროზე იტყვიან უარს. თუმცა ამჯერად გუნდი ვერ გამოიყურება ისეთ მძლავრ და მონოლითურ სხეულად როგორც ოთხი წლის წინ. კანადელებს ლამის ნახევარი დაცვის ხაზის გამოცვლა მოუხდათ მას შემდეგ, რაც სამი მცველის, მათ შორის სკოტ ნიდერმაიერის გარეშე დარჩნენ. თანაც ნაკრები დიდად დაეზარალა მისი გენერალური მენეჯერის, უეინ გერცკის გარშემო ბოლო დღეებში აგორებულმა სკანდალმა — კლუბ „ფინიქსის“ თავკაც გრეცკის თანაშემწე რიკ ტოკეტი უკანონო ბიზნესში იქნა მხილებული. თურმე ტოკეტი ერთ-ერთი ბუქმეიკერული კანტორის თანამფლობელი გახლდათ, რომელშიც მასთან ერთად ბრუნო სკარფოს ცნობილი მაფიოზური კლანი იყო ჩართული. ტოკეტი იფიცება, ჩემი კანტორა ჰოკეიზე ფსონებს არ იღებდაო, მაგრამ თუ გამოძიება საპირისპიროს დაამტკიცებს, ეს უკვე ნამდვილი ბომბი იქნება. ასეც და ისეც ტოკეტს სერიოზული სასჯელი ელის.



AFP ტურინიდან

უეინ გრეცკი ტურინში ცუდ ხასიათზე ჩავიდა

გრეცკისთვის ყველაზე უსიამოვნო კი ისაა, რომ ამ ტოტალიზატორში ფსონებს ჩადიოდა... მისი მეუღლე ჯანეტიც! მოკლედ, ჩრდილი თავად „დიად ვინმესაც“ მიადგა და, ცხადია, უეინი, ისევე როგორც მთელი ნაკრები, არცთუ სახარბიელო მდგომარეობაშია.

ასეთ სიტუაციაში შანსი ეძლევათ ჩეხებს, რომელთა ყველა ძირითადი მოთამაშე გადაურჩა ტრავმებს, ხოლო ლიდერი იარომირ იაგრი გადასარევ სეზონს ატარებს. შვედებს, ისევე როგორც ფინელებს, ლიდერების არყოფნა ასუსტებს — ფორსბერგის გარდა შვედებს დააკლდებათ მარკუს ნესლუნდიც, რომელიც ტურინში კლუბმა არ გაუშვა. აშშ, რუსეთი და სლოვაკეთი უფრო ფარულ ფავორიტებს მიეკუთვნებიან და ამ სამეულისგან ყველაზე რეალურად რუსების შანსებს მიიჩნევენ, მით უმეტეს, რომ მათ რიგებში ნჰლ-ის ამ სეზონის საუკეთესო ახალბედა ალექსანდრ ოვეჩკინი და მსოფლიოში საუკეთესო არა ნჰლ-ელი ევგენი მალკინი იქნებიან.

სამველ ღარიბიანი

მედროშე წაგვექცა

სლოვენიელი გრეგორ ურბასი და ჩრდილოკორეელი ინ იონ ჰანი ის ორი კაცია, რომელთა წარუმატებელმა გამოსვლამაც ქართული დელეგაციის მედროშეს ვახტანგ მურვანიძეს საშუალება მისცა, ფიგურულ სრიალში მოკლე პროგრამით 28-ე ადგილი დაეკავებინა.

პირველ ადგილზე რიხინ-რიხინით გასულმა რუსმა ევგენი პლიუშენკომ და კიდევ ოცდასამმა სპორტსმენმა საკვალიფიკაციო ეტაპი გაიარეს.

იქნებ არასწორიც იყოს, თხრობა 28-ე ადგილზე გასული კაცით რომ დავიწყეთ და მხოლოდ შემდეგ მოგახსენეთ პირველკაცის ვინაობა, მაგრამ რა ვქნათ, ჩვენ ჩვენი უფრო გვტკივა.

ისე, თუ მურვანიძის ტკივილი ჩვენი ტკივილია, წელი ახლაც უნდა გვტკიოდეს. სამმაგი ბრუნის შემდეგ ყინულზე დავარდნილ მურვანიძეს წამოდგომაც კი გაუჭირდა და ვაითუ გვარიანადაც იტკინა წელი.

არა, ოქროს მედალს რომელ ქართველს მოსთხოვს ქომაგი ზამთრის ოლიმპიადაზე, მაგრამ მურვანიძის წარუმატებელმა გამოსვლამ ის გვაფიქრებინა, რომ ოლიმპიადაზე წამსვლელს მომზადებისა და საშეჯიბრო კონცენტრაციის გაცილებით მეტი ხარისხი სჭირდება.

ცოტა ხნის წინ ლეგენდარულმა ამერიკელმა მოციგურავე ქალმა მიშელ კვანმა თქვა — ოპტიმალურ ფორმაში არ ვარ და ოლიმპიურ თამაშებზე ასე გამოსვლას ვერ ვიკადრებო...

ლადო ფულუკიძე

კიდევ ერთი შოკი ფავორიტებს გზა აებნათ

მთის თხილამურობა

კაცები

კომბინაცია

1 ტედ ლიგეტი (აშშ) — 3.09,35
2 ივიცა კოსტელიჩი (ხორვატია) — 3.09,88
3 რაინერ შონფელდერი (ავსტრია) — 3.10,67

მთის თხილამურობა კაცებს შორის ჯერჯერობით მეტად გასაოცარ და სენსაციურ შედეგებს გვთავაზობს. მხოლოდ ორი შეჯიბრი, სწრაფდაშვება და კომბინაციაა ჩატარებული და უკვე ყველა წინაოლიმპიური პროგნოზი გაცამტვერდა.

სპეციალისტები და გულშემატკივრები ჯერ ფრანგი ანტუან დენერიას სწრაფდაშვებაში მოულოდნელი წარმატების შოკიდან არ გამოსულიყვნენ და აგერ, კომბინაციამ კიდევ ერთი ხმამაღალი სენსაცია გამოაცხო — გამარჯებული ოლიმიადების დებიუტანტი ტეჩ ლიგეტი გახდა.

არადა, ლიგეტისგან ასეთ ფხას არავი ელოდა. კომბინაცია მეტად რთული დისციპლინაა, სწრაფდაშვებისა და სლალომის ორი ეტაპისგან შედგება და მის მოსაგებად მოთხილამურეებს კომპლექსური მომზადება სჭირდებათ.

სწორედ ამიტომ, ლიგეტის ფავორიტთა შორის ნამდვილად არავინ მოიხსენიებდა. მის წინ სხვა ამერიკელს — ბოდე მილერს აყენებდნენ, მაგრამ გამარჯვების უმთავრეს პრეტენდენტად კომბინაციაში მოქმედი მსოფლიოს ჩემპიონი, ავსტრიელი ბენჯამინ რაიხი ითვლებოდა, თუმცა... რაიხმა და მილერმა ყველაფერი მხოლოდ საკუთარ თავს დააბრალონ — მათ, მართლაც მიუტევებელი შეცდომები დაუშვეს და დაისაჯნენ კიდეც

განსაკუთრებით ეს მილერს ეხება, რომელიც სწრაფდაშვების შემდეგ ლიდერობდა და თანაც სოლიდურად. იმავე ლიგეტის ის 3.08 წამით უგებდა, რაც ამ სპორტში უდიდესი უპირატესობაა. მილერი კი ადგა და იმდენი მოახერხა, რომ სლალომის დროს ერთ-ერთი ბჭე გამოტოვა და ორგანიზატორებმა დისკვალიფიკაციით „დაასაჩუქრეს“. ბოდემ ბევრი იყვირა, მაგრამ ამით ვერაფერს მიაღწია. ამერიკელთა სამწვრთნელო შტაბი გამეორებაზე დარწმუნდა ორგანიზატორთა სიმართლეში და მილერიც იძულებული იყო, გაჩუმებულიყო.

აი, ლიგეტიმ, რომელიც სლალომის სპეციალისტად არასოდეს ითვლებოდა, ორივე ცდა დიდებულად შეასრულა და პირველი შედეგიც აჩვენა.

ამის შემდეგ ამერიკელი უკვე მეტოქეებს ელოდებოდა — თავისი შედეგით პოდიუმზე ადგილი გარანტირებული კი ჰქონდა, მაგრამ, იქნებოდა თუ არა ეს უმაღლესი საფეხური, ჯერ არ იყო ცნობილი.

ლიგეტის შედეგს მხოლოდ რამდენიმეღა წაეპოტინა. ყველაზე ძალიან ამერიკელს ივიცა კოსტელიჩი მიუახლოვდა, მაგრამ საბოლოოდ მაინც საკმაოდ სოლიდურად, — 0,53 წამით წააგო. თუმცა ჯერ კიდევ წინ იყო უმთავრესი ფავორიტის, ბენჯამინ რაიხის მეორე ცდა სლალომში. ავსტრიელი ამ დისციპლინაში ერთ-ერთ საუკეთესოდ ითვლება და, აქედან გამომდინარე, ამერიკელის გადასწრება შეეძლო. თუმცა რაიხს ნერვებმა უმტყუნა — მან ბავშვური შეცდომა დაუშვა, როცა ერთ-ერთ მონაკვეთში ტრასიდან გადავიდა და თავის შანსს თეთრი ხაზი გადაუსვა.

ასეა თუ ისე, ავსტრიის ნაკრები, რომელიც თითქმის ყველა სამთო შეჯიბრში ოქროს მოგებას გეგმავდა, უკვე მეორედ დარჩა უმაღლესი ჯილდოს გარეშე. მაგრამ, არა უმეტესობა — რაინერ შონფელდერის წყალობით ავსტრიულ ყულაბას ბრინჯაო შეემატა.

21 წლის ლიგეტისთვის კი ეს, მართლაც, უდიდესი მიღწევაა:

„დაუჯერებელია, არ ვიცი, რა ვთქვა... სწრაფდაშვების შემდეგ ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი, რომ მოგებას შეეძლებდი... ეს საუკეთესო შეგრძნებაა... ოცნება ავიხდინე, თანაც ჩემს პირველივე ოლიმპიადაზე... კომბინაციაში ვიმარჯვე! არა, მართლა ფანტასტიკაა — სლალომში იმედი კი მქონდა, მაგრამ აქ...“

არანაკლებ უხაროდა ხორვატ კოსტელიჩსაც, რომელმაც დაიკო იანიცასთან ერთად, ბავშვური ტირილით აღნიშნა ვერცხლის მოგება:

„მგონი, მძინავს და მეშინია, არ გამეღვიძოს. ეს საუკეთესო დღეა ჩემს ცხოვრებაში.“

კახა ლომაჯვილი

მთის ჯომბინაციის მოულოდნელი ჩემპიონი ტედ ლიგეტი

AFP ტურინიდან

AFP ტურინიდან

ავსტრიელებსაც ელირსათ

დორფმაისტერმა სამშობლო ოქროთი მოაჯარაყა

მთის თხილამურები

ქალები

სწრაფდაშვება

1 მიქაელა დორფმაისტერი (ავსტრია) — 1.56,49
2 მარტინა შილდი (შვეიცარია) — 1.56,86
3 ანია პიერსონი (შვედეთი) — 1.57,13

ის, რაც ვერ მოახერხეს „ჰერმინატორმა“, ბენჯამინ რაიხმა და სხვებმა, მიქაელა დორფმაისტერმა შეძლო. როგორც იქნა, მან ავსტრიას პირველი სამთო ოქრო აღირსა.

ავსტრიელები, რომლებიც მთის ფერდობებზე თითქმის ყველა დისციპლინის მთავარ ფავორიტებად ითვლებოდნენ, ოქროს დიდხანს ელოდნენ...

დორფმაისტერი უდავოდ ძლიერი მოთხილამურეა, მაგრამ სწრაფდაშვება მისი საყვარელი სახეობა არასოდეს ყოფილა. აქამდე მას მხოლოდ ერთი ოლიმპიური ვერცხლის მედალი ჰქონდა მოგებული და ისიც გიგანტურ სლალომში. ასე რომ, მიქაელას გუშინდელი ტრიუმფი მთლად მოსალოდნელიც არ ყოფილა.

ისე, ავსტრიელს გარკვეულწილად ხელი იმანაც შეუწყო, რომ გუშინ ტრავმის გამო ტრასაზე ვერ გავიდა ხორვატი იანიცა კოსტელიჩი. ბალკანელი ერთ-ერთი ვარჯიშისას დაშავდა. ოლიმპიური ტრასა ხომ ნამდვილ ჯოჯოხეთად ექცათ ქალ მოთხილამურეებს — ვარჯიშებისას უკვე მიიღეს ტრავმები ამერიკელმა ლინდსი კილდოუმ, იმავე კოსტელიჩმა, ავსტრიელმა ელიზაბეტ გოერგლმა და სხვებმა. გუშინაც ბევრს შეექმნა პრობლემები ტრასის გავლისას, ლიხტენშტეინელი ტინა ვაერატერი კი ბეწვზე გადაურჩა სერიოზულ დაზიანებას.

ასეა თუ ისე, დორფმაისტერმა დამსახურებულად იმარჯვა — მან ყველაზე რისკიანად გაიარა მთელი ტრასა ორივე ცდაზე და კარიერაში პირველი ოლიმპიური ოქროც მოიპოვა. სხვათა შორის, ეს ოქრო ავსტრიელთათვის მეტად მნიშვნელოვანი იყო — მიუხედავად იმისა, რომ მათ ყოველთვის ძლიერი ნაკრებები ჩაჰყავდათ ოლიმპიადებზე, დორფმაისტერი პირველი ავსტრიელი ქალია 1980 წლის ლეიკ პლესიდის ოლიმპიადის ტრიუმფატორ ენმარი მოზერ-პროელის შემდეგ, რომელმაც მთის თხილამურებში ოქროს მოგებაც შეძლო.

მეორე ადგილი გუშინ შვეიცარიელმა მარტინა შილდმა დაიკავა, პოდიუმის ყველაზე დაბალ საფეხურზე კი ანია პიერსონი ავიდა, რომელიც აშკარად ვერ იყო ჩვეულ ფორმაში. კოსტელიჩის არყოფნაში შვედი მთავარ ფავორიტად კი სახელდებოდა, მაგრამ მესამე ადგილსაც ძლივს შეწვდა, როცა კიდევ ერთ ავსტრიელ, რენატა გიორლს, სულ რაღაც 7 მეასედი წამით მოუგო.

32 წლის დორფმაისტერმა, რომელიც ოლიმპიადის შემდეგ კარიერას ასრულებს, მართლაც, შესანიშნავი საჩუქარი უძღვნა საკუთარ თავს:

„ჩემი უკანასკნელი ოცნებაც ავიხდინე. ახლა უკვე შემიძლია წავიდე იმ განცდით, რომ ყველაფრის გაკეთება მოვახერხე... ოლიმპიადის შემდეგ ახალი ცხოვრება დაიწყება... ბოლო ორი დღე ძალიან ბევრი ვინერვიულე, ვერ ვიძინებდი და შეჯიბრის წინ საკმაოდ ცუდად ვიყავი, მაგრამ შემდეგ, ფაქტობრივად, ვაიძულე საკუთარ თავს, გამერისკა და ბედნიერი ვარ, რომ ამან გაამართლა.“

კახა ლომაჯვილი

ხორვატი და-ძმა ივიცა და იანიცა ჯოსტელიჩები ივიცას ვერცხლს ხარობენ

ორჯაცა ციგაში ავსტრიელმა ძმებმა – ვოლფგანგ და ანდრეას ლინგერებმა იჩემპიონეს, ვერცხლი ჯი იტალიელებს – გერჰარდ პლანჯენშტეინერს და ოსვალდ ჰასელრეიდერს დარჩათ

ქალი ჩაფხუტშიც იცნობა: ავსტრალიელი სკელეტონისტი მიშელ სტილი

დაიწყო და, რა დაიწყო! გუშინ ყინულზე უფალი ჰოკეისტები გამობრძანდნენ

თავმომწონე ბოდე მილერი საერთოდ უმედლოდ დარჩა

სარბიელი
სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიბრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, გიორგი ნოზაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: ვაჟა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხოფერია
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაბო სვანიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge